პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მეზღ.
დეპ. საბ.
საბჭოს ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის შელაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 11—76, შეკვეთის 10—56

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 10 კ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მ.

№ 108 სამშაბათი 15 მაისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000 მან. № 108

დღიური

ამხ. ვოროვსკის მოკვლის და ინგლისის მემორანდუმის გამო მთელ საბჭოთა ფედერაციაში გაიმართა საპროტესტო მიტინგები—დემონსტრაციები, რომელზედაც მუშები და გლეხები მოითხოვდნენ სათანადო ნაბიჯის გადადგმას მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ინგლისის მუშათა კლასი და სავაჭრო წრეები მოითხოვენ ინგლისის მთავრობისაგან ნოტის უკან წაღებას და საბჭოთა რუსეთის წინაშე ბოდიშის მოხდას.

ინგლისის ნოტის გამო მოსკოვის საბჭომ საგანგებო მოწოდებით მიმართა მსოფლიო მუშათა კლასს.

ინგლისი და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი

ამხანაგო მუშებო!

ინგლისის მთავრობამ საბჭოთა რუსეთს მემორანდუმი გაუგზავნა და სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევით დაემუქრა, თუ ათი დღის განმავლობაში ყველა მისი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ იქნება.

ინგლისი მოითხოვს აღმოსავლეთში აგიტაციის შეწყვეტას, აღმოსავლეთ ქვეყნებში თანამდებობიდან მთელ რიგ პასუხისმგებელ მუშაკების მოხსნას, ჩვენს წყლებში უკანონოთ შემოსულ ინგლისის გემების დაკავების გამო ზარალის ანაზღაურებას, საბჭოთა მთავრობის მიერ ბოდიშის მოხდას. მემორანდუმის კილო მედიდურია, თითქოს ელაპარაკებიან არა თანასწორუფლებიან სახელმწიფოს, არამედ კოლონიას.

როგორ პასუხს გასცემს საბჭოთა ხელისუფლება, მუშათა კლასი და მთელი მშრომელი ხალხი გათავხედებულ კაპიტალს?

როცა საბჭოთა რუსეთი იბრძოდა ყველა ფრონტებზე, როცა მას გლეჯდა სამოქალაქო ომი, სიმშილი და გაღარიბება და სისხლიდან იცლებოდა, კვდებოდა დასუსტებული,—განა სთმობდა ის. ნუ თუ გენუამ და ჰააგამ არასაკმაოთ დაამტკიცა საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე და ურყეობა. ნუ თუ ასეთის მემორანდუმებით აპირებენ დათმობების გამოღლეტას ახლა, როცა ჩვენი ხელისუფლება განმტკიცდა, გამაგრდა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენს კოლოსალურ უძლეველ ძალას, რომელიც შესძლებს გაუმაგრდეს საბჭოთა რესპუბლიკების და მთელი ქვეყნის მუშათა კლასის მოსაღრჩობათ შეკავშირებულ მსოფლიო კონტრ-რევოლიუციას.

კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი, პროფკავშირთა საბჭო და მუშების, გლეხების და წითელ არმიელთა დეპუტატების თბილისის საბჭო მოუწოდებს ყველა მუშებს საპროტესტო დემონსტრაციაზე კონტრ-რევოლიუციის თავხედურ განზრახვების წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს მოგვახვიოს თავისი ნება-სურვილი და გვაიძულოს ჩვენ ხელი ავიღოთ სისხლით მოპოვებულ უფლებებზე.

მაგრამ ვერავითარი მუქარა, ვერავითარი მოთხოვნები ვერ შეარყევს ჩვენს გადაწყვეტილებას ბოლომდი დავიცვათ ჩვენი მონაპოვარნი. ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ თუ გვაიძულეს, ჩვენ შევძლებთ იარაღით ხელში დავიცვათ ჩვენი უფლებები, ჩვენი მონაპოვარნი.

მთელი პროლეტარიატი, როგორც ერთი კაცი დაადასტურებს ჩვენი მთავრობის პასუხს! საბჭოთა ხელისუფლება პროლეტარული რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე დგას და შესძლებს ისე, როგორც ყოველთვის ღირსეული პასუხი გასცეს მთელი ქვეყნის წრეგადასულ იმპერიალისტების თავხედურ ზრახვებს.

საბჭოთა რესპუბლიკები რუური არ არის!

არავითარი დათმობა საერთაშორისო კაპიტალის მოთხოვნილებებს.

საბჭოთა ხელისუფლებას ესაჭიროება ზავი, მაგრამ არასოდეს არ იყიდის ის ამ ზავს თავის მონაპოვართა დათმობის ფასით.

მუშათა კლასი იარაღით ხელში დაიცავს ოქტომბრის მონაპოვართ.

მთელი საკავშირო ფედერაციის მუშები, მთელი ქვეყნის მუშები დაუჭერენ მხარს მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს.

საერთაშორისო იმპერიალისტების თავხედური მოთხოვნა ღირსეულ პასუხს მიიღებს.

ძირს ინგლისის ავაზაკები!

ძირს საერთაშორისო იმპერიალისტები!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ სოლიდარობას, საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების და სიმტკიცის ფუძეს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე კავშირს განთავისუფლებისათვის მებრძოლ აღმოსავლეთის ერებთან!

ყველა დემონსტრაციაზე პროლეტარულ რევოლიუციის წითელი დროშის ქვეშ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი.
საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.
მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების თბილისის საბჭო.

ყველა დემონსტრაციაზე!

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი, საქ. პროფკავშირთა საბჭო და თბილისის საბჭო მოუწოდებს ქ. თბილისის ყველა მუშებს გამოვიდნენ პროტესტით იმ თავხედი მოთხოვნის გამო, რომელიც წაუყენა ინგლისმა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს.

როგორც ერთი კაცი გამოდით ყველა დემონსტრაციაზე წითელ დროშებით და საპროტესტო ლოზუნგებით.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი.
საქ. პროფკავშირთა საბჭო.
თბ. მ. გ. და წით. არმ. საბჭო.

ნაწარმოებთა გასაღების კრიზისი

საქონლის გასაღების კრიზისი ჩვეულებრივი მოვლენაა კაპიტალისტურ საზოგადოებაში და ეს კრიზისი სისტემატიურათ მეორდება. მისი უმთავრესი მიზეზია წარმოების ანარქიული უგეგმო წესი, როდესაც ყოველი კერძო კაპიტალისტი დამოუკიდებლათ, თავისი ვარაუდით ანგარიშობს რამდენი დაამზადოს და რადგან მეტოქეები აუარებელი ყავს, ის ცდილობს თავის წილად რაც შეიძლება ბლომათ დაამზადოს, რომ ამით მეტი შანსები ექნეს თავის მოქიშპეთა დასაძლევათ საერთო ბაზარზე. აქედან წარმოსდგება ზედმეტი გადაჭარბებული წარმოება და იმდენი საქონლის დამზადება, რამდენსაც ბაზარი ვეღარ ერევა.

მაგრამ რათ უნდა ქონდეს ამ მოვლენას ადგილი საბჭოთა რეჟიმის დროს? ნუ თუ ჩვენ იმდენი დავამზადეთ, რომ სავსებით დავფარეთ მუშათა და გლეხთა მოთხოვნილება და კიდევ გვრჩება გაუსაღებელი რაოდენობა? რაშია საქმე?

რა თქმა უნდა, ჩვენი წარმოება ოდნავათაც ვერ ფარავს ჩვენს მოთხოვნილებას. საქმე იმაშია, რომ რამდენათაც ჩვენ ვიყენებთ კაპიტალისტური წარმოების მეთოდებს, რამდენათაც ვამზადებთ არა საგნებს პირდაპირ მოსახმარათ, არამედ საქონელს—გასასყიდათ, რამდენათაც ჯერჯერობით ვერ მიგვიღწევია საერთო გეგმისათვის, ჩვენც აუცილებლათ განვიცდით კაპიტალისტური ანარქიული წარმოების შედეგებს. ამით აიხსნება, რომ დაცემული მსყიდველობითი უნარი, რომელიც წარმოუდგენელ ვაჭარნალიას ბადებს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, თავს იჩენს ჩვენს წარმოებაშიც და ხშირათ გამოუსვლელ მდგომარეობას ქმნის.

ყველას თვალში ეცემა ის საერთო მოვლენა, რომ ჩვენი გლეხი (და მუშაც) თითქმის შიშველია, და ამავე დროს საქსოვ ფაბრიკებს მანუფაქტურა ვერ გაუსაღებიათ, ეს კიდევ გასაგები იქნებოდა, რომ გლეხს არ მოეპოვებოდეს სამაგიერო ეკვივალენტი, რომ ის ხელცარიელი იდგეს ბაზარზე. უბედურებაც სწორეთ იმაშია, რომ გლეხს დღეს შედარებით საკმაოთ მოეპოვება სოფლის ნაწარმოები, უმთავრესათ პური და მისი მყიდველი კი ვერ უპოვია.

ავიღოთ მეორე მოვლენა, რომელიც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია. ყველა ხედავს, რომ კერძო ვაჭრობა ძლიერდება, ის ფეხზე დგება. ვითარდება და მძლავრ ფაქტორათ ხდება ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში. ძალიან ხშირია ისეთი ფაქტი, რომ საქონელი კერძო ბაზარზე უფრო იაფია, ვიდრე სახელმწიფო სამეურნეო დაწესებულებებში და კოოპერატივებში. საქონლის უფრო იაფი ფასებით იკაფავს თავის სავალ გზას კერძო ვაჭრობა.

მაგრამ საიდან წარმოსდგება ეს იაფობა? რომ ეს საქონელი საზღვარგარეთიდან შემოსული იყოს, მაშინ კიდევ გასაგები იქნებოდა, რადგან საზღვარგარეთი ცდილობს ძირი გამოუთხაროს ჩვენს წარმოებას, რომ სამუდამოთ თავის საწველ ფურათ გადაგვაქციოს. საქმეც იმაშია, რომ ეს საქონელი ჩვენი ტრესტების დამზადებულია, ჩვენს ფაბრიკებშია დამუშავებული.

მერე რანაირათ ხდება, რომ ჩვენს საქონელს ჩვენ უფრო ძვირათ ვყიდით, ვიდრე კერძო ვაჭარი? რისგან არის, რომ ხალხი კერძო ვაჭართან მიდის, ხოლო ერიდება კოოპერატივებს, რომელთაც სამეურნეო ორგანოებიდან ფასდაკლებით აქვთ შეძენილი საქონელი?

საქმე იმაშია, რომ საერთო მოუწყობლობისა გამო და უმთავრესად კი იმიტომ, რომ ტრესტებს და სინდიკატებს საბრუნავი თანხა აკლიათ, ისინი იძულებული არიან დროგამოშვებით, რომელიმე გადაუდებელი ხარჯის დასაფარავად მიმართონ კერძო ვაჭარს და ნაღდი ფულის სამაგიეროდ დიდი ფასდაკლებით დაუთმონ მას საქონელი. ხოლო რადგან საქონლის სიიაფე საუკეთესო საშუალებაა მომხმარებელთან კავშირის გასაბმელად, ვაჭარი უფრო ადვილად აღწევს ამას და ლამობს ძველი მდგომარეობა დაიბრუნოს. შექმნილი პირობები უეჭველად უწყობს მას ხელს.

უნდა მოუპოვოთ სოფლის ნაწარმოებს გასავალი, რომ ამით ავსწიოთ გლეხის მსყიდველობითი უნარი; უნდა მოუპოვოთ სამეურნეო ორგანოებს საბრუნავი თანხა, რომ მათ რამდენიმე თვის განმავლობაში მაინც შესძლონ გეგმით იმუშავონ; უნდა მოუპოვოთ კოოპერატივებს კრედიტი, რომ მათ შესძლონ უშუალოთ დაკავშირება მომხმარებელთა მასასთან და სრულიად განდევნონ ასპარეზიდან კერძო სავაჭრო კაპიტალი; უნდა გვქონდეს საერთო გეგმა მთელი სამეურნეო საქმიანობისა. უამისოთ ჩვენ ხელში ჩაგვეჭრება ეკონომიური ცხოვრების სტიქია და გასაქანს არ მოგვცემს; უამისოთ, რაც გინდ გავზარდოთ შრომისნაყოფიერება, მიზანს ვერ მივაღწევთ, ჩვენს ნაშრომს და ნაამაგარს [illegible] არ დარჩება, მას სხვა დაეპატრონება, სხვის ჯიბეს გაამარაქიანებს. კოოპერატიული აპარატის გაძლიერება ერთი უდიდესი საკითხია შექმნილ პირობებში.

მ. ტოროშელიძე.

ინგლისის ნოტის გარშემო

მოსკოვის საბჭოს საგანგებო სხდომა

ამხ. კამენევის სიტყვა

მოსკოვი. 12 მაისი. დღეს ინგლისის უკანასკნელი ნოტის გამო, შესდგა მოსკოვის საბჭოს სასწრაფო სხდომა. გახსნა რა კრება, ამხ. კამენევი შეჩერდა ამხ. ვოროვსკის მოკვლაზე, რომლის სახითაც კომპარტიამ დაჰკარგა ერ-ერთი მისი დამაარსებელთაგანი.

ტყვია პროლეტარული რევოლიუციის წინააღმდეგ

ტყვია, მიმართული ვოროვსკის წინააღმდეგ, ამბობს ამხ. კამენევი, ნამდვილად მიმართულია მსოფლიოში პირველი პროლეტარული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ლოზანაში გასროლილი ტყვია ყველასათვის გასაგებად ხდის ინგლისის ნოტის პოლიტიკურ შინაარსს. მაგრამ ნუ დაავიწყდებათ ჩვენს მტრებს, რომ ნოტებით, ულტიმატუმებით და სროლით ისინი ვერ მოახრევინებენ ქედს პროლეტარიატს, რომელმაც მოახდინა უდიდესი რევოლიუცია მსოფლიოში

ამხ. ჩიჩერინის სიტყვა

ანტანტა—მკვლელობის გამომწვევი

ამხ. ჩიჩერინი გამოდის ვრცელი სიტყვით, რომელშიაც აღნიშნავს: „პირდაპირი დამნაშავე ამხ. ვოროვსკის მოკვლაში არის შვეიცარიის მთავრობა, რომელმაც არ მიიღო წინასწარი ზომები, მიუხედავად ფაშისტების მუქარისა. საერთო პასუხისმგებლობა კი მკვლელობისათვის ეკუთვნის ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებს, რომლებმაც მიიწვიეს რუსეთის დელეგაცია ლოზანაში და არ იზრუნეს მისთვის მშვიდობიანობის დაცვაზე.

ორ ძალთა ბრძოლა

ამხ. ვოროვსკი დაიღუპა ლოზანაში, სადაც ხდება დიდი დიპლომატიური შეჯახება გამოღვიძებულ აღმოსავლეთს და მასზე თავისი ძალა-უფლების განმტკიცებით გატაცებულ დასავლეთის იმპერიალიზმს შორის, სადაც საბჭოთა რესპუბლიკები გამოდიან თავის მსოფლიო ისტორიულ როლში, რომელიც განასახიერებს ჩაგრულ ერების მეგობრობას.

რეაქცია ილაშქრებს მუშათა კლასის წინააღმდეგ

ეხება რა საერთო პოლიტიკურ მდგომარეობას, ამხ. ჩიჩერინი ამბობს: „მთელს მსოფლიოში გამეფებული უკიდურესი რეაქცია ცდილობს ხელიდან გამოსტაცოს მუშათა კლასს მისი მონაპოვარი. ინგლისში—ანტანტის ხელმძღვანელ სახელმწიფოში, ხელისუფლებას სათავეში უდგანან უკიდურესი რეაქციონერები, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ ეხლანდელი მომენტი იმისთვის, რომ შეარყიონ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება საბჭოთა რესპუბლიკებში. ვლადიმირ ილიჩის ავადმყოფობა მათ უღვივებს იმ იმედს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას გამოეცალა სიმაგრე და შეიძლება მისი დამხობა გარედგან შეტევით. ამ ზრახვებისათვის იქმნება სათანადო ატმოსფერა ეგრედ წოდებულ „სასოწარკვეთილებაზე“ კაპიტალისტების, რომლებიც იმედს ამყარებდენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, მაგრამ ეხლა დარწმუნდენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკები არ შეუძლიათ გახადონ უკანტროლო ექსპლოატაციის ობიექტად.

კერზონი ჩვენ გვიწვევს

ამ ფონზე მოხდა გამოსვლა მარკიზ კერზონის, რომელიც არის უკიდურესი რეაქციის პოლიტიკის გამომხატველი.

ულტიმატუმში მოსჩანს მისი მედიდური და ირონიული მანერა, რომელიც უყურებს დიდ საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც უმნიშვნელო სიდიდეს.

მის ულტიმატუმში მთავარ როლს თამაშობს, როგორც შეპფერის ინდოეთის ყოფილ ვიცე-კოროლს, საკითხი აღმოსავლეთის შესახებ, სადაც ამ ჟამად ხდება სახელოვანი განმათავისუფლებელი მოძრაობა იმპერიალიზმის ჩაგვრის წინააღმდეგ.

ჩვენ და აღმოსავლეთი

ჩვენ გვაკავშირებს აღმოსავლეთის ერებთან ღრმა სიმპატიები, რომლებშიაც იმპერიალისტური მთავრობები ამჩნევენ ცბიერ ინტრიგებს. ულტიმატუმის ეს ნაწილი წარმოადგენს ყალბ ბრალდებების, მოგონილ ციტატების და გაურკვეველი შიფრების ტენდენციური დამახინჯების კოლექციას. მოთხოვნილება ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლების გაწვევისა და აღმოსავლეთის პოლიტიკისათვის ბოდიშის მოხდის შესახებ, წარმოადგენს გამოწვევას.

შეეხო რა ულტიმატუმში აღნიშნულ ადგილებს ჯაშუშ დევისონის და ჯაშუშ გარდინგის შესახებ, ამხ. ჩიჩერინი ამბობს: „ამ ფაქტებს ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც ინგლისთან ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ იყო დადებული.

საბჭოთა რესპუბლიკები არ დაიმცირებენ თავს.

ჩრდილოეთის ნაპირებთან ჩვენს მიერ თორმეტ მილიანი ზონის დაწესებისათვის ინგლისის პროტესტის შესახებ, ამხ. ჩიჩერინი ამბობს: თავისთვის ინგლისის მთავრობამ დააწესა ცეილონზე მარგალიტის ამოსაღებად ხაზი, რომელიც აღწევს 25 მილს, ხოლო ჩვენ გვავალებს დავკმაყოფილდეთ სამ მილიანი ზონით. კერზონის ამ გამოწვევაზე და მუქარაზე ჩვენ უნდა ვუპასუხოთ მტკიცედ და ჩვენი ძალების შეგნებით და არ უნდა ავყვეთ პროვოკაციას. მუშათა მასები აღსდგენ გულისწყრომით და მზად არიან ყოველგვარ მსხვერპლის გაღებაზე, რათა დაიცვან რესპუბლიკების დამოკიდებულება და რევოლიუციის მონაპოვარი. საბჭოთა რესპუბლიკები თავს არ დაიმცირებენ და არ დახრიან თავიანთ სახელოვან დროშებს უცხოეთის მოძალადეების წინაშე.

ჩვენ წინადადებას ვიძლევით ორ თანასწორუფლებიან მხარის მოლაპარაკების შესახებ

მათ გამოწვევაზე ჩვენ წინადადებას ვიძლევით ორი თანასწორუფლებიანი მხარის დამშვიდებული მოლაპარაკების შესახებ. **თუ ჩვენი წინადადების შემდეგაც მოლაპარაკების შესახებ კერზონი მოგვახვევს კავშირის გაწყვეტას, ყველას ეცოდინება, რომ ჩვენ კი არ ვართ ზავის დამრღვევნი, არამედ კერზონმა გამოიწვია კავშირის გაწყვეტა.** ჩვენ თანახმა ვართ განვიხილოთ ინგლისის საჩივარი დასჯილ ჯაშუშების შესახებ, მაგრამ თავის მხრივ მოვითხოვთ დაკმაყოფილებული ვიქნეთ ჩვენ ინგლისის მიერ ოკუპაციაქმნილ ტერიტორიაზე დახვრეტილ მოქალაქეების, არხანგელსკში და ჩრდილოეთის სხვა ნაწილებში მრავალრიცხოვან ამხანაგების წამების გამო.

ჩვენ მედგრათ ვუცდით მტერს ჩვენს კარებთან

ათავებს რა თავის სიტყვას, ამხ. ჩიჩერინი ამბობს: „ამ ჟამად მსოფლიო ანტაგონიზმების გამწვავების პირობებში, ინგლისსა და რუსეთს შორის განხეთქილება ნიშნავს სამხედრო საფრთხის უდიდესათ გაძლიერებას, რურის ავანტიურის გაფართოების შესაძლებლობას და პოლონეთისა და რუმინეთის მილიტარისტული ელემენტების წაქეზებას, ჩვენ ვიხსნით ყოველგვარ პასუხისმგებლობას ომის საფრთხის გაძლიერების გამო. ჩვენ მედგრათ უცდით მტერს ჩვენს კარებთან და ვფიქრობთ, რომ ის ვერ გაბედავს თავდასხმას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თუ ინგლისელი რეაქციონერები თავს მოგვახვევენ სავაჭრო ხელშეკრულებების დარღვევას, ჩვენმათ ამას ავიტანთ და ახლო მომავალში უქეთესს პირობებზე დავითანხმებთ“.

ამხ. ბუხარინის სიტყვა

მათი ცივილიზაცია—მონობაა

ჩიჩერინის შემდეგ გამოვიდა ამხ. ბუხარინი. შეეხო რა კერზონის აღშფოთებას ჩვენი „ბარბაროსობის“ გამო, ბუხარინი ნათელი ხაზებით ხატავს იმპერიალისტური სახელმწიფოების „ცივილიზაციას“. ესსენში ანტანტის ჯარები ხვრეტენ მუშებს და ძალადობას ახდენენ ქალებზე და ბავშვებზე; ფაშისტები თავდასხმებს აწყობენ მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებზე, აუქმებენ მუშათა კლასის მონაპოვართ, აღიდგენენ 8 საათის სამუშაო დღეს და ამცირებენ შრომის ხელფასს. უკანასკნელ წლებში ჩვენ ვხედავთ ათას ჩამოღრჩობილს და დახვრეტილს ინდოეთში, ასეულ დახვრეტილებს და მოკლულებს ირლანდიაში. ახლა ეს „ცივილიზაციური“ სამყარო აპირებს ოსმალეთზე დაწოლას რკინის ქუსლით.

მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკები იცავენ მშრომლებს

მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკებს და მის მშრომელებს შესწევთ გამბედაობა აღიმაღლონ ხმა დამონებულთა დასაცავად, დაიცვან ოსმალეთი და დაჩაგრული გერმანია, დაიცვან მსოფლიო დაჩაგრული პროლეტარიატის ინტერესები. უცხოეთის სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლების და აგრეთვე უცხოეთის პროლეტარიატის წარმომადგენლების თანადასწრებით ჩვენ ვამბობთ: „რუსეთის მუშა და გლეხი ამაყობს იმით, რომ წარმოადგენს იმპერიალისტური ცივილიზაციის მოწინააღმდეგეს. ამაშია ჩვენი პროლეტარული სიამაყე და პატიოსნება“. ათავებს რა თავის სიტყვას, ამხ. ბუხარინი ამბობს: „ახლა მდგომარეობა საკმაოთ კრიტიკულია. ჩვენ არ ვართ დაზღვეული არაფერიდან, მაგრამ თუ ბედმა ინება ჩვენი გამოწვევა საბრძოლათ არა მარტო დიპლომატიური ულტიმატუმებით, მაშინ ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი გამოვალთ ბრძოლაში“.

ამხ. ტროცკის სიტყვა

ჩვენ არ გვსურს ომი

ამხ. ბუხარინის შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. ტროცკი. ეხება რა ემიგრანტების პრესის მიერ შეთხზულ ჭორებს, ამხ. ტროცკი ამბობს: „ნუ თუ ჩვენ ვფიქრობთ ომზე, ნუ თუ ჩვენ ჩვენი ვეებერთელა სივრცის, ჩამორჩენილობის, სიღარიბის და უკულტურობის პირობებში შეგვიძლია ფიქრი ძალადობის, დაპყრობის და შეტევის შესახებ ჩვენ ვამბობთ, წყეულიც იყოს ჩვენს წრეში ის, ვინც ხმას აიმაღლებს შეტევის სასარგებლოდ. მიუხედავათ ამისა. ატმოსფერა საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებზე კვლავ გამწვავდა. ჩვენ ვიცით, რომ კერზონი სჭედს დიპლომატიურს, და შესაძლოა არა მარტო დიპლომატიურ ხუნდებს. ჩვენ საკმაო საბუთი გვაქვს აღშფოთებისათვის, კბილთა ღრჭენისათვის და მუშტის საჩვენებლად. მაგრამ ახლა, ასეთ მომენტში, ჩვენ არ გადავდგამთ არც ერთ ისეთ ნაბიჯს, არ ვიტყვით არც ერთს ისეთ სიტყვას, რომლებიც გაამწვავებდენ მდგომარეობას და გზას დაუხურავდენ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას. ჩვენ მზადა ვართ დიდი დათმობისათვის შეთანხმების, ხელშეკრულების, დამოუკიდებლობის და თანასწორობის საფუძველზე.

მაგრამ თუ...

ჩვენი წითელი არმია და წითელი ფლოტი ყველა მუშებთან და გლეხებთან ერთად უდიდესი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ჩვენი დიპლომატიის ზავისაკენ მიმართულ ყველა ნაბიჯებს, რადგან არმია ყველაზე უკეთ გრძნობს თუ რას ნიშნავს ომი ევროპაში გამწვავებული მდგომარეობის პირობებში. ეს იქნებოდა ბრძოლა, რომელიც გაგრძელდებოდა არა თვეები და წლები, რომელიც შთანთქავდა ჩვენი ქვეყნის ყველა ძალებს და საშვალებებს და შეაჩერებდა მთელ რიგ წლების განმავლობაში სამეურნეო და კულტურულ მუშაობას. და ამიტომ ვამბობთ: „დეე აგვცილდეს ჩვენ ფიალა ესე“, მაგრამ თუ გამოწვევას მოჰყვება გამოწვევა, თუ იმპერიალიზმის ხიშტებს მომართავენ ჩვენი მკერდის წინააღმდეგ ან ზურგში ჩასაცემად, ჩვენი წითელი არმია და ფლოტი, რომელთაც ზავი სურთ, ბოლომდი შეასრულებენ თავის მოვალეობას.

მუშები თავისი ინტერესების სადარაჯოზე

ამხ. ტროცკის სიტყვის შემდეგ, მოსკოვის საბჭოს სხდომაზე შემოდიან მუშების დელეგატები, რომლებმაც გაავსეს ყველა მოედანი და ქუჩები დიდი თეატრის ახლო, სადაც ხდებოდა სხდომა. მუშა ზვეზდოვი მიუბრუნდა დიპლომატიურ ლოჟას და სთქვა: „თუ დასავლეთის კაპიტალი თავს დაესხმება მუშურ მთავრობას, საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასი როგორც ერთი კაცი ადგება თავისი ინტერესების დასაცავად, დარწმუნებული, რომ მას მხარს დაუჭერს დასავლეთის პროლეტარიატი.

დანილოვის მანუფაქტურის მუშების სახელით ამხ. ტროცკის და ამხ. ჩიჩერინს გადასცეს დროშები. დროშის მიღების დროს ამხ. ჩიჩერინმა სთქვა: „დროშა დასანახ ადგილზე დაიდება საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში, რომ ის დაინახონ უცხოეთის ყველა დიპლომატებმა და წარმომადგენლებმა, რომლებიც ჩვენ მოგვმართავენ“.

მოსკოვის საბჭოს რეზოლიუცია

ჩვენ მოვიგერიებთ მსოფლიო იმპერიალიზმის თავდასხმას

ორატორების სიტყვების შემდეგ, მოსკოვის საბჭო ერთხმად იღებს რეზოლიუციას, რომელშიც საბჭო ინგლისის რეაქციონური მთავრობის ულტიმატუმის თავხედურ კილოს და საბჭოთა მთავრობისათვის წარდგენილ მოთხოვნილებებს ახასიათებს როგორც საბჭოთა რესპუბლიკის ბრიტანეთის იმპერიის ვასალათ გადაქცევის ცდას. მოსკოვის საბჭო აცხადებს: **„მშრომელთა რესპუბლიკის მტრების ყველა ლონისძიებები დაიმსხვრევიან საბჭოთა რესპუბლიკების მუშების და გლეხების სიმტკიცეზე და ნათლად და უდაოთ დაუმტკიცებენ მთელ მსოფლიოს, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს, რომლებიც თავს აღწევენ ინტერვენციისა და ბლოკადის მძიმე შედეგებს, შესწევთ ძალა ძლევამოსილად მოიგერიონ მსოფლიო იმპერიალიზმის ყველა თავდასხმები.**

ყველა ქვეყნის მშრომელთ

მთელი ქვეყნის მუშებისადმი მიმართვაში, მოსკოვის მუშების სახელით, რომლებიც ნახევარ მილიონიანი დემონსტრაციის სახით გარს ერტყენ საბჭოს სხდომას, **მოსკოვის საბჭო მოუწოდებს მთელი ქვეყნის მუშებს, განურჩევლად ეროვნებისა და პარტიისა, აიცილონ თავდასხმა საბჭოთა რუსეთზე, რომელსაც ამზადებს საერთაშორისო ფაშიზმი.**

მიმართვა ინგლისის მუშათა პარტიისადმი

მაკდონალდის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში მოსკოვის საბჭო მიმართავს თხოვნით ინგლისის მუშათა პარტიას მიიღოს ყოველგვარი ზომები ინგლისის მთავრობის მხრივ ყოველგვარი, შემდეგში გამოუსწორებელი ნაბიჯების ასაცილებლად. დეპეშაში ნათქვამია: **„კონფლიქტი შეიძლება აცილებული იქნეს, თუ ინგლისის მთავრობა შეიგნებს, რომ რუსეთის დიდ ერთან შეუძლებელია ლაპარაკი ულტიმატუმების საშუალებით და დათანხმდება სადავო საკითხების განხილვაზე მხარეების თანასწორობის საფუძველზე. საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც ზავისკენ მიისწრაფვის, ამავე დროს მზად არის, როგორც ერთი კაცი დაიცვას თავისი დამოუკიდებლობის, სუვერენობის და მთავრობის დასაცავად“.**

მიმართვა ნანსენს

ნანსენის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში მოსკოვის საბჭო გამოსთქვამს იმედს, რომ ნანსენი აღიმაღლებს ხმას ომის მსურველთა წინააღმდეგ და ეტყვის მთელ ქვეყანას, რომ საბჭოთა რუსეთი არ შედრკება ულტიმატუმების და ტყვიების წინაშე, მაგრამ მზად არის ყველა ზომები მიიღოს ზავის დასაცავად და განსამტკიცებლად.

პეტროგრადის საბჭოს სხდომა

საბჭოს სხდომა გახსნა ამხ. ზინოვიევმა

პეტროგრადი. 12 მაისი. როგორც მუშების, წითელ არმიელების და მოქალაქეების, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ 12 მაისს პეტროგრადის დემონსტრაციაში, აღემატებოდა პირველი მაისის დემონსტრაციის მონაწილეების რიცხვს. ურიცკის სასახლე, სადაც სწარმოებდა პეტროგრადის საბჭოს სხდომა, სავსე იყო ხალხით.

ამხ. კარახანის სიტყვა

რუსეთი და ინგლისი

პირველად ლაპარაკობს ამხ. კარახანი, რომელიც აღნიშნავს, რომ ინგლისის მემორანდუმი არის რეაქციის გააფთრების და კაპიტალის მუშებზე შეტევის კულმინაციური პუნქტი. ჩვენ მუდამ ვაფასებდით იმას, რომ ინგლისმა პირველმა მიგვიწვია ჩვენ ლოზანაში, პირველმა დაგვეთანხმა სავაჭრო ხელშეკრულებაზე. მაგრამ ჩვენ მუდამ ვღებულობდით კატეგორიულ უარს, როდესაც მოვითხოვდით გაგვეფართოებია შეთანხმება და გაგვემართა მოლაპარაკება იმ გაუგებრობათა შესახებ, რომელსაც იწვევდა ესა თუ ის საკითხი.

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

რატომ გადმოდის ბურჟუაზია შეტევაზე

შემდეგ გამოდის ამხ. ზინოვიევი, რომელიც ამბობს: მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ნოტა, მდგომარეობენ შემდეგ სამ მუხლში: კერზონის განუმტკიცებელი მდგომარეობა, რომელიც ერეკება მას ახალ სამხედრო ავანტიურისაკენ, რათა ხალხის ყურადღება დააშოროს შინაურ საქმეებს. მუშების შლელვარება იზრდება და კაპიტალისტური მთავრობა ადგება-ავანტიურის გზას. მეორე მიზეზი ის არის, რომ ევროპის ბურჟუაზიამ გაიგო ახალი ეკონომიური პოლიტიკა, როგორც საბჭოთა მთავრობის კაპიტულიაცია. ხედავს რა, რომ საბჭოთა რესპუბლიკა ძლიერდება, ბურჟუაზიამ გადასწყვიტა ერთხელ კიდევ გამოსცადოს ჩვენი ძალები.

თუ ცხრამეტ წელში მათ სურდათ ჩავეხშეთ ჩვენ მიტომ, რომ ჩვენ სუსტნი ვიყავით, ეხლა კი სურთ სცადონ თავდასხმა მიტომ, რომ ჩვენ ძლიერები ვართ. მესამე მიზეზია ის რომ ბურჟუაზია შეცდომაშია შეყვანილი ჩვენი თეთრგვარდიელების ყალბი ინფორმაციის გამო.

ორი გამოსავალი

შესაძლებელია ორი გამოსავალი: ან კონფლიქტი გათავდება არაფრით, ან ამ ნოტის შედეგი იქნება სამხედრო გავლენის მოხდენის ცდა.

ჩვენ უნდა ავაგოთ პოლიტიკა უარეს შემთხვევაზე. თუ ჩვენ ვერ ავცდებით ომს, ჩვენ ვიბრძოლებთ შეკავშირებულნი თავიდან ბოლომდე.

მიღებულ მოწოდებაში ყველა ქვეყნის მუშებისადმი პეტროგრადის საბჭო აღნიშნავს: „დეე, იცოდენ იმპერიალისტებმა, რომ არ არის ძალა, რომელიც შესძლებს საბჭოთა სახელმწიფოს დამარცხებას“.

შემდეგ პეტროგრადის საბჭო მოითხოვს სახალხო კომისართა საბჭოსაგან, რათა მან გადაჭრით უარჰყოს ულტიმატუმის თავხედური მოთხოვნილება.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მოწოდება

მოსკოვი. 13 მაისი. სრულიად რუსეთის პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის მუშებს, რომელშიაც ამბობს: ჩვენი ცხოვრების დამოუკიდებლად შენების უფლება ჩვენ მეტად ძვირათ მოვიპოვეთ, რომ ნება მივსცეთ ვისმეს ყაჩაღური თავდასხმის გზით დაგვირღვიოს ის. ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები, რომელთაც რევოლიუციის მძაფრი სკოლა გაიარეს, საკმაო ძალას გამონახავენ თავის თავში, რომ იარაღით ხელში დაიცვან თავისი მონაპოვარი. რუსეთის მშრომელები მოწოდებით მიმართავენ ყველას, რომ ჩვენთან ერთად ვაჩვენოთ ყველა ქვეყნის კაპიტალისტურ მთავრობებს ჩვენი მშვიდობიანობისადმი სურვილი.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო თავის ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოსადმი, მუშათა პარტიისადმი და მუშათა პარტიის პარლამენტის ფრაქციისადმი ტრედ-უნიონების ყველა წევრებისა და დიდი ბრიტანეთის მშრომელებისადმი მიმართულ მოწოდებებში ამტკიცებს, რომ ინგლისის მთავრობის პროვოკაციული ნოტა იმავე დროს არის მეომარ კაპიტალისა და ფაშიზმის თავდასხმა საერთაშორისო პროლეტარიატზე. საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინააღმდეგობისა და სოლიდარობის ხარისხიდანაა დამოკიდებული იმპერიალისტურ მტაცებლობის განზრახვების განხორციელების შესაძლებლობანი. საბჭოთა რესპუბლიკები მგრძნობიარეთ ეხმაურებიან ყოველგვარ იმპერიალისტურ ძალადობას და დარწმუნებული არიან, რომ თქვენთანაც ყველა ქალაქებში, ყველა ქარხნებსა და ფაბრიკებში გაისმება მრავალ მილიონიან მშრომელთა გამოძახილი: „შორს ხელები რუსეთის რევოლიუციისაგან, შორს ხელები საბჭოთა რუსეთისაგან“.

მშრომელი მასები საბჭოთა რესპუბლიკების სადარაჯოზე

საპროტესტო დემონსტრაციები იმპერიალიზმის თავდასხმის წინააღმდეგ

მოსკოვში

მოსკოვი 12 მაისი. ამხ. ვოროვსკის მოკვლამ და კერზონის ნოტამ აღაშფოთა მოსკოვის მთელი მშრომელი ხალხი. დღეს მოსკოვის მუშები, მუშა ქალები, წითელ არმიელები, მოწაფეები და საბჭოთა მოსამსახურეები გამოვიდენ ქუჩებზე, რომ მხურვალე პროტესტი განაცხადონ მთელი ქვეყნის წინაშე იმპერიალიზმის თავდასხმის წინააღმდეგ, ს. ს. რესპუბლიკების კავშირის დამოუკიდებლობაზე. სრულს 12 საათზე მოსკოვის ყველა ქარხნებსა და ფაბრიკებში შეწყდა მუშაობა. ქალაქის შუა გულში თავი მოიყარა მშრომელთა მწყობრმა კოლონებმა დროშებით, ლოზუნგებით და რევოლიუციონურ სიმღერებით. დაახლოვებითი გამოანგარიშებით დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა 500.000-დე კაცი. ყველგან მიტინგები იყო მოწყობილი კომინტერნის, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. სვერდლოვის მოედანზე დემონსტრაციების წინაშე გამოვიდა ამხ. სოსნოვსკი, რომელმაც სთქვა: „ინგლისის ლორდები მუქარით ვერ შეაშინებენ რუსეთის მუშებსა და გლეხებს. აი რას ამბობს დღევანდელი დემონსტრაცია—ერთიანობა და საომარი სამზადისი ინგლისის ბურჟუაზიის გამოსვლაზე, მთელი ფედერაცია გარკვევით და მკაფიოდ უპასუხებს: „შორს ხელები“

საქართველოს პარტიულ-საბჭოთა პრესის
ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზეტრესტი), რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფ. № 5—43.

15 მაისიდან გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

საერთო ხელის მოწერა თვიურათ . .	1.000.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	750.000
ერთი ეგზემპლიარი	40.000

კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 20 მაისამდის შემოიტანონ განსხვავება მაისის მეორე ნახევრის, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთების მიწოდება შეწყვეტილი იქნება.

4—3

დღეს, სამშაბათს, 15 მაისს, საღამოს 7 საათზე შესდგება

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის
პრეზიდიუმის სხდომა

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ცაკის მდივანი პ. ხაბაშვილი.

ერთსულოვანმა მქუხარე ტაშმა დაფარა ამხანაგ სოსნოვსკის სიტყვები. ამხ. სოსნოვსკის შემდეგ გამოსულმა ამხ. ლუნაჩარსკიმ მოკლე სიტყვის შემდეგ კითხვით მიმართა დემონსტრანტებს: შეუძლია კერზონს შეაშინოს ჩვენ რუსეთის მუშები და გლეხები? „არა“—გაისმა მოედანზე ერთი კუთხიდან მეორეზე. გამოჩნდება ჩვენში თუ გინდ ერთი, რომელიც არ გამოვა საბჭოთა მთავრობის დაძახებაზე საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დასაცავად? ეკითხება ამხ. ლუნაჩარსკი. **„მოვკვდებით საბჭოებისა და მშრომელი ხალხის ხელისუფლებისათვის“.** ისმის მკაფიო და გარკვეული პასუხი დემონსტრანტების მრავალ ათასიან მასსებიდან. ამავე დროს მრავალი დემონსტრანტები მოგროვდენ მოსკოვის საბჭოს წინ და აგრეთვე კომინტერნის შენობის წინ, სადაც დემონსტრანტებს მიესალმენ მოსკოვის საბჭოს წევრები და კომინტერნის წარმომადგენლები. ტვერის ქუჩით საბჭოების სახლიდან დემონსტრანტები გაეშურენ კავშირების სახლისკენ, სადაც შეგროვილთ მხურვალე სიტყვით მიმართა ამხ. ანტონოვ-სვეენკომ. დემონსტრაცია შუაღამემდი გაგრძელდა. მუშების სულიერი განწყობილება ძლიერი და მტკიცეა.

პეტროგრადში

პეტროგრადი. 12 მაისი. დილა ადრიანათ მუშათა მასსებმა დროშებით იწყეს თავის მოყრა შრომის სასახლესთან, სადაც დანიშნული იყო პროფკავშირთა მიტინგი. წითელარმიელთა ყველა სამხედრო ნაწილებში, კავშირებში და დაწესებულებებში შესდგა სასწრაფო კრებები, რომლებზედაც ერთხმად გამოტანილი იქნა რეზოლიუციები საერთაშორისო კაპიტალიზმის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დამოუკიდებლობაზე თავდასხმის და ამხ. ვოროვსკის სამარცხვინო მკვლელობის წინააღმდეგ. დღის 3 საათზე ყველა დაწესებულებებმა და წარმოებებმა შესწყვიტეს მუშაობა და მთელი შემადგენლობით ქუჩაზე გამოვიდნენ ლოზუნგებით: „გაუმარჯოს ინგლისის კომპარტიას, არავითარი დათმობა, საბჭოთა რუსეთი რური არ არის, შორს ხელები მუშათა და გლეხთა რუსეთისაგან, პროლეტარიატი სამაგიეროს გადაუხდის ვოროვსკის მკვლელობისათვის“. ქუჩებზე იმართებოდა მფრინავი მიტინგები, დემონსტრაციამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო სავაჭრო ნავთსადგურში დიდი მიტინგი შესდგა, სადაც მიღებულ იქნა რეზოლიუცია ინგლისის მოქმედებისა, მისი ნოტის დაუშვებელ ტონის და ფაშისტების მიერ ამხ. ვოროვსკის მოკვლის წინააღმდეგ.

ოდესაში

ოდესა. 12 მაისი. ამხ. ვოროვსკის მოკვლამ ღრმა გამოძახილი გამოიწვია ოდესის მშრომელ მასსებში. ფაბრიკებსა და ქარხნების მიტინგები შესდგა. მიღებულ რეზოლიუციებში პროტესტია გამოთქმული ახალ ომის მუქარის წინააღმდეგ და ნაჩვენებია წითელ ჯარის და ფლოტის ყოველმხრივი გამაგრება, რომ გადამჭრელი წინააღმდეგობა გაუწიოთ საერთაშორისო კაპიტალის თავდასხმას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირზე. ქალაქში მასიური დემონსტრაციები შესდგა. ოდესის პროლეტარიატის საპროტესტო დემონსტრაციას ამხ. ვოროვსკის მოკვლისა და ინგლისის მთავრობის ნოტის წინააღმდეგ გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა. მიტინგის შემდეგ ყველა ქარხანა-ფაბრიკებიდან მუშების მასები დაიძრნენ საგუბერნიო კომიტეტისაკენ. იქითკენვე წავიდნენ ნავსადგურში მყოფი გერმანელი და იტალიელი მეზღვაურები, რომელთაც თავიანთ სიტყვებში განაცხადეს: „დე იცოდნენ რუსეთის მუშებმა, რომ ფაშიზმს დიდი დღე არა აქვს. სოციალური რევოლიუციის გამარჯვება მთელ ქვეყნიერებაზე აუცილებელია“. მთელი ქალაქი დამგლოვიარებულია. სახლები მორთულია სამგლოვიარო დროშებით. წარმოდგენები გადადებულია.

ოდესა. 12 მაისი. ოდესის გუშინდელ დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა 60.000 კაცი, მუშების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათთვის სრულიად არ არის საშიში ანტანტის ხრიკები. მუშები კომინტერნის პირველ დაძახებისთანავე მზად არიან წავიდნენ მსოფლიო რევოლიუციის დასაცავად. სტუდენტების წარმომადგენლებმა განუცხადეს აღმასკომს, რომ ისინი სდგანან საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე და მუშურ-გლეხურ მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე ჩადგებიან წითელ არმიელთა რიგებში პროლეტარულ რესპუბლიკის დასაცავად.

როსტოვში

როსტოვი დონზე, 12 მაისი. ინგლისის ნოტის და ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო გამართულ მანიფესტაციაზედ მონაწილეობა მიიღო როსტოვის და ნახიჩევანის მთელმა პროლეტარიატმა და მშრომელმა ინტელიგენციამ. მუშებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ სახკომსაბჭოსაგან და აღმასკომიდან არ დააკმაყოფილოს ინგლისის მოთხოვნილებანი. რეზოლიუცია ამბობს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ დაძახებისთანავე ყველანი ჩადგებიან წითელი არმიის რიგებში.

არხანგელსკში

არხანგელსკი, 12 მაისი. არხანგელსკში გაიმართა დიდი კრებები და საპროტესტო დემონსტრაციები, რომელზედაც მუშები მოითხოვენ ინგლისის ულტიმატუმის უარისყოფას, ინგლისის პროლეტარიატისათვის ძმური ხელის გაწვდას მათგან იმპერიალიზმის წინააღმდეგ გამოსვლას.

წითელარმიელთა საგარნიზონო სხდომაზე გამოტანილი რეზოლიუცია ამბობს: ჩვენ არასოდეს არ დაუშვებთ ინგლისის ინტერვენციას ჩვენ გვახსოვს მისი საშინელებანი ჩრდილოეთში. ძირს ერთი წუთით დაყოვნება, უკან არ დავიხევთ ერთი ნაბიჯითაც...

ხარკოვში

ხარკოვში. 12 მაისი. ხარკოვში გამართულ მანიფესტაციებში მონაწილეობა მიიღო 25,000 კაცმა. წითელარმიელთა, მუშა-მოსამსახურეთა და სტუდენტთა ჯგუფმა პროფესორების მეთაურობით თავი მოიყარა სრულიად უკრაინის აღმასკომის შენობასთან. აივანიდან დემონსტრანტებს სიტყვით მიმართეს ამხ. ფრუნზემ, რაკოვსკიმ და პეტროვსკიმ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მუშების, გლეხების და წითელ-არმიელთა კავშირი არის ჩვენი გამარჯვების თავდები. საბჭოთა მთავრობას შეუძლია სავსებით დაეყრდნოს მუშებს და გლეხებს.

მინსკში

მინსკი. 12 მაისი. ინგლისის ნოტის გაგებისთანავე მინსკის მუშებმა მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია მსოფლიო იმპერიალიზმის ზრახვების წინააღმდეგ. დიდძალ რეზოლიუციებში მუშები მოითხოვენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკამ სათანადო პასუხი გასცეს ბურჟუაზიის ზრახვებს.

ყველგან

მოსკოვი. 12 მაისი. ცარიცინიდან, ვიტებსკიდან, ხერსონიდან, ელიზავეტოგრადიდან, ბალტიიდან და სხვა ქალაქებიდან იტყობინებიან იმ აღშფოთებაზე, რომელიც გამოიწვია ამხ. ვოროვსკის სიკვდილმა და ინგლისის ულტიმატუმმა. დიდძალ მიტინგებზე გამოაქვთ რეზოლიუციები, რომელშიც მოითხოვენ სათანადო პასუხის გაცემას ინგლისისათვის.

ბაქოს პროლეტარიატის პასუხი

ბაქო. 13 მაისი. ცნობა ამხ. ვოროვსკის მოკვლის და ინგლისის ნოტის შესახებ ბაქოს მუშებში გავრცელდა უფრო ადრე ვიდრე გაზეთები გამოვიდოდნენ და ღრმა აღშფოთება გამოიწვია, როგორც პარტიულ ისე უპარტიო, კერძოთ კი მუსლიმან მუშებში. ბევრ ადგილებში გაიმართა მიტინგები, სადაც გამოჰქონდათ საპროტესტო რეზოლიუციები შექმნილი საფრთხის წინააღმდეგ და კიცხავდნენ ანტანტის დამქაშების პროვოკაციულ პოლიტიკას. „ვერავითარი მუქარა ჩვენ ვერ შეგვაშინებს, კაპიტალის ფრონტს ჩვენ ვუპირდაპირებთ მშრომელთა გაერთიანებულ ფრონტს“,—განაცხადა ბაქოს პროლეტარიატმა.

ევროპის მუშების ხმა
ინგლისში

ბერლინი. 14 მაისი. პარასკევს ლონდონში შესდგა ტრედ უნიონების და სხვა მუშათა ორკანიზაციების კრება საბჭოთა რუსეთისადმი ინგლისის ნოტის გამო. მიღებულ რეზოლიუციაში კრება აფრთხილებს ინგლისის მოავრობას საბჭოთა რესპუბლიკებთან კავშირის შეწყვეტისაგან და კრიტიკას უკეთებს მთავრობას ულტიმატიუმის გამო. რეზოლიუცია ითვალისწინებს არბიტრაჟს ინგლისის ნოტის მიერ წარმოშობილ კონფლიქტის განსახილველად.

ინგლისის მუშათა პარტია მშვიდობიანობისათვის

მოსკოვი. 12 მაისი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო დეპეშა მაკდონალდისაგან, რომელიც ინგლისის მთავრობის მიერ მურმანის ნაპირებთან კანონერკის გაგზავნის გამო, მეგობრულად სთხოვს რუსეთის მთავრობას მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სახელით თავი შეიკავოს ყოველგვარი გამოსვლებისაგან, რომელთაც შეუძლია ომის წარმოშობის დაჩქარება, სანამ არ დაწყებულა შემდეგი მოლაპარაკებანი ბრიტანეთის მთავრობის ულტიმატუმის შესახებ. ჩვენ, ამბობს მაკდონალდი, ვმუშაობთ მშვიდობიანობის და საბჭოთა მთავრობის ცნობისთვის და აღშფოთებით ვხვდებით განხეთქილების ყოველგვარ შესაძლებლობას, სანამ არ იქნება გამოყენებული ყოველგვარი საშუალებანი არბიტრაჟის და მოლაპარაკების გზით საკითხის გადაჭრისათვის.

მუშათა პარტია თავის თავზე კისრულობს პასუხისმგებლობას მახლობელ სამშაბათს ნოტის გარშემო კამათისათვის.

საპასუხო ნოტაში ამხ. ლიტვინოვი არწმუნებს მაკდონალდს, რომ თუმცაღა საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია დაემორჩილოს ულტიმატუმებს და მუქარებს, მაგრამ ის მზად არის რუსეთ-ბრიტანეთის დავა გადასჭრას მშვიდობიანი გზით, როგორც ამას ამტკიცებს გადაწყვეტილება დატყვევებული მიწა-მლების განთავისუფლების შესახებ.

ინგლისის მუშები პროტესტს აცხადებენ კერზონის ნოტის წინააღმდეგ

ლონდონი 12 მაისი. ტრედ-უნიონების და ინგლისის მუშათა პარტიის შეერთებულმა კონგრესმა დეკლარაცია გამოაქვეყნა, რომელშიაც კიცხავს კერზონის ნოტას, რომელსაც მიზნად აქვს თეთრგვარდიელთა თავდასხმის გამოწვევა საბჭოთა რუსეთზე. დეკლარაცია აღნიშნავს, რომ ნოტა ფიქრობს სამხედრო ცდების განახლებას, რომელმაც შეიძლება ძალადობის ხმარებამდე მიიყვანოს, იმის მაგივრად, რომ კონფლიქტის გადაწყვეტა მოლაპარაკების სამართლიანობის ნიადაგზე მოხდეს, დეკლარაცია აცხადებს, რომ შეცდომები შესაძლებელია ყოფილიყო ორივე მხრიდან და ამიტომ მოითხოვს კონფერენციის მოწვევას, სადაც უკმაყოფილო მხარეებს შეეძლოთ თავიანთი დამამტკიცებელი საბუთების და მოსაზრებების წარმოდგენა. დეკლარაცია ემყარება არა მარტო მუშების, არამედ ლონდონის მოქალაქეების პროტესტსაც.

მთლიანი ფრონტი იმპერიალიზმის წინააღმდეგ

ლონდონი. 12 მაისი. ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ წინადადებით მიმართა მუშათა პარტიას, რომელიც დღეს მუშათა მიტინგებს აწყობს, მთლიანი ფრონტით გამოსვლის შესახებ. „დეილ ტელეგრაფი“ კიცხავს მუშათა პარტიის განცხადებასა და აგრეთვე მის მანიფესტს, რომელსაც გაზეთი ადარებს მაკდონალდის პაციფისტურ განცხადებას 1914 წელში.

ევროპა ნოტის შესახებ
„ერ ნუველი“ ინგლისის ნოტის შესახებ

პარიზი. 12 მაისი. „ერ ნუველი“ ინგლისის დამოკიდებულების შეცვლას რუსეთისადმი ხსნის ინგლისისა და გერმანიის დაახლოვების მიზეზით, რომელიც შეასუსტებს ინგლისის შიშს რუსეთ-გერმანიის კავშირის შესაძლებლობის წინაშე.

ბეჭდავს რა ამხ. ლიტვინოვის ნოტას სანაპირო წყლების შესახებ „ერ-ნუველი“ აღნიშნავს საბჭოთა დიპლომატიის წარმატებას, რომელმაც წინასწარ გაანადგურა ის მუხლი კერზონის ნოტის საბაბათ რომ გახდა. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ინგლისის ულტიმატუმი არაფერ განსაკუთრებულ გავლენას არ მოახდენს საფრანგეთის დამოკიდებულებაზე რუსეთის მიმართ.

განხეთქილება კონსერვატორებს შორის

ლონდონი. 12 მაისი. „დეილი ნიუზი“ იმეორებს „დეილი ხრონიკლ“-ის ცნობას კონსერვატორებს შორის უთანხმოების შესაძლებლობის შესახებ 15 მაისის მსჯელობის დროს. კონსერვატორების ნაწილი, გაზეთის სიტყვით, ფიქრობს მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლას. გაზეთი ამას უდიდეს მნიშვნელობას აძლევს და აღნიშნავს, რომ ამას შეუძლია ინგლისსა და რუსეთს შორის გამწვავებულ დამოკიდებულების შენელება.

რადიო-დეპეშები

ამხ. ვოროვსკის მოკვლა
დაწვრილებითი ცნობები

ბერლინი. 11 მაისი. ამხ ვოროვსკი მოკლეს ოთხშაბათს, საღამოს 10 საათზე სასტუმრო „სესილ“-ის სასადილოში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სასადილოს დარბაზში ამხ. ვოროვსკის, დივილკოვსკის და არენსის გარდა არავინ არ ყოფილა. ამხ. ვოროვსკი მოკლეს იქვე, ტყვია მოხვედრილი აქვს კისერში ამხ. დივილკოვსკი დაჭრილია ორი ტყვიით მუცელში, „როსტა“-ს სპეციალური კორესპონდენტი ამხ. არენსი დაჭრილია ფეხში და მხარში. მკვლელმა გაისროლა შვიდჯერ. დაჭრილმა და იატაკზე დავარდნილმა არენსმა მოინდომა აეტეხა სროლა მკვლელისათვის, მაგრამ მას ხელი შეუშალა მოსამსახურემ. პოლიცია გამოცხადდა დანაშაულობის ადგილზე ძლიერ დაგვიანებით. მკვლელია ვინმე კონრადი პეტროგრადელი, რომელმაც შემდეგ მიიღო შვეიცარიის ქვეშევრდომობა. მსოფლიო ომის დროს კონრადი მსახურობდა მოხალისედ მეფის არმიაში. კონრადი ჩავიდა ციურიხიდან ლოზანაში მკვლელობის დღეს.

შვეიცარიის პოლიცია ცდილობს იმის უარყოფას, რომ მკვლელობას კავშირი აქვს ლოზანას ფაშისტურ ნაციონალურ ლიგის მუქარასთან. მაგრამ ლოზანას კონფერენციის წრეებში დარწმუნებული არიან, რომ მკვლელობას აქვს პოლიტიკური ხასიათი. დაჭრილმა ამხ. არენსმა განაცხადა: „მე ფორმალურად ბრალს ვსდებ შვეიცარიის მთავრობას მკვლელობაში ფარულ მონაწილეობისათვის, ვინაიდან, მიუხედავად ჩვენთვის აშკარად დამუქრებისა, მან არ მიიღო წინასწარი ზომები. მეორე მხრით დამნაშავეა კონფერენციის სამდივნო, რომელმაც გამოიწვია ყველა ეს გართულებანი რუსეთის დელეგაციის მდგომარეობაში. ამხ. არენსის მოთხოვნილებით ამხ. ვოროვსკის ცხედარი დატოვებულია სასტუმრო „სესილ“-ში. ახლახან მიღებული ცნობები ლოზანიდან მოწმობენ, რომ მკვლელობამ ლოზანას კონფერენციის წრეებში გამოიწვია თავზარდამცემი შთაბეჭდილება.

მკვლელი შვეიცარიელი ფაშისტია

ნაუენი. 11 მაისი. ამხ. ვოროვსკი მოკლულ იქნა შვეიცარიის ფაშისტური ნაციონალური ლიგის წევრების მიერ, რომლებიც მუდამ ემუქრებოდენ მას. მკვლელი ყოფ. შვეიცარიელი ლეიტენანტი კონრადი ნებაყოფლობით დანებდა პოლიციას.

მკვლელები დამშვიდებულნი არიან

ლიფილდი. 12 მაისი. „დეილი ტელეგრაფ“-ის ლოზანის კორესპონდენტის ცნობით, ამხ. ვოროვსკის მოკვლას არავითარი გავლენა არ მოუხდენია კონფერენციის დღევანდელ სხდომაზე.

მკვლელი დაპატიმრებულია მკვლელობის ჩადენიდან რამოდენიმე ხნის გასვლის შემდეგ. სროლის ატეხის შემდეგ, ის დამშვიდებით გამოვიდა ვესტიბიულში და მოსწია სიგარა, ელოდებოდა რა პოლიციას.

ბურჟუაზია ცდილობს დაფაროს მკვლელობის შინაარსი.

ბერლინი. 11 მაისი. შვეიცარიის პრესა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამხ. ვოროვსკის სიკვდილი არ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს.

ლოზანას კონფერენციის პოლიტიკური კომისიის დილის სხდომაზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ.

მკვლელების თვალთმაქცობა.

ბერლინი. 11 მაისი. უცხოეთის ბურჟუაზიული პრესა ყოველივე საშუალებით ცდილობს შეასუსტოს ის შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება, რომელიც გამოიწვია ამხ. ვოროვსკის მოკვლამ. გაზეთები ცდილობენ აიცილონ შვეიცარიის ხელისუფლებას ყოველივე პასუხისმგებლობა და უარყოფენ მკვლელობის პოლიტიკურ მოტივებს.

შვეიცარიის პოლიცია უარყოფს აგრეთვე კავშირს ამხ. ვოროვსკის მკვლელობასა და ფაშისტურ ნაციონალურ ლიგას შორის, თუმცა-ღა მკვლელობის წინადღით ფაშისტებმა დემონსტრაციები გამართეს იმ სასტუმროს წინ, რომელშიაც იმყოფებოდა ამხ. ვოროვსკი და დაემუქრნენ მას სიკვდილით იმ შემთხვევაში, თუ ის არ დასტოვებდა ლოზანას.

მკვლელი მოსყიდული იყო.

ბერლინი. 11 მაისი. სასტუმროს იმ ოთახში, რომელიც ეჭირა ამხ. ვოროვსკის მკვლელს, აღმოაჩინეს მკვლელობის ვრცელი გეგმა და აგრეთვე მკვლელის სახელზე ჟენევიდან გამოგზავნილი დიდი პაკეტი, გამომგზავნელის ვინაობის და მისამართის აღუნიშნავათ. პაკეტში აღმოჩნდა დიდი თანხა.

ცდილობენ გამართლებას.

ბერლინი. 11 მაისი. ამხ. არენსის მიერ გამოქვეყნებულმა ცნობებმა ლოზანაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შვეიცარიის გაზეთები ცდილობენ გაამართლონ მთავრობა ამხ. ვოროვსკის დასაცავად ზომების არ მიღების გამო და უარყოფენ კავშირს მკვლელობასა და ფაშისტების მოღვაწეობის შორის.

შვეიცარიამ დაარღვია სტუმართ მიღების ტრადიციები.

ბერლინი. 11 მაისი. გაზეთი „გერმანია“ აღნიშნავს, რომ შვეიცარიამ სასტიკად დაარღვია სტუმართ მიღების ტრადიციები.

პასუხისმგებლობა აწვება შვეიცარიას.

ბერლინი. 11 მაისი. გაზეთ „ფორვერტსის“ აზრით, პასუხისმგებლობა ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო აწვება შვეიცარიის მთავრობას, რომელმაც იცოდა ფაშისტური ორგანიზაციების განზრახვების შესახებ და ითმენდა ამას.

ამხ. ვოროვსკის მოკვლა—ეს მახვილია მსოფლიო რევოლიუციის წინააღმდეგ მიმართული.

ბერლინი, 11 მაისი. გაზ. „როტე-ფანე“ ამხანაგ ვოროვსკის მოკვლას ახასიათებს, როგორც მსოფლიო იმპერიალიზმის ცდას მსოფლიო რევოლიუციის ავანპოსტის—საბჭოთა რუსეთისათვის მახვილის ჩასაცემად, რომ ამ გზით შესძლონ დასავლეთის მუშათა კლასის სრული დამონება.

გერმანელ მუშების პროტესტი.

ბერლინი, 11 მაისი. ბერლინის სახალხო-საფაბრიკო კომიტეტების პლენუმმა გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო. რეზოლიუციაში გერმანელი მუშები აღნიშნავენ, რომ ისინი მზად არიან ბოლომდი ებრძოლონ მსოფლიო ფაშიზმს და გაამაგრონ თავისი ანტი-ფაშისტური ორგანიზაციები.

ამხ. ვოროვსკის მეუღლე ლოზანაში.

ბერლინი. 11 მაისი. ლოზანაში მოელიან ამხ. ვოროვსკის მეუღლის ჩამოსვლას.

მკვლელი სდუმს.

ბერლინი, 11 მაისი. ხელმეორეთ დაკითხვის დროს ამხ. ვოროვსკის მკვლელმა კონრადიმ უარი განაცხადა მისი პარტიული მიმართულების შესახებ პასუხის მიცემაზე.

ხრიკებს მიმართავენ.

ბერლინი. 11 მაისი, ლოზანას ადმინისტრაცია ცდილობს აიცილოს პასუხისმგებლობა ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო და ამტკიცებს, რომ ამხ. ვოროვსკი უარს ამბობდა სიფთხილის ყოველგვარ ზომებზე. ამის გამო ამხ. არენსმა გაზეთებში მოათავსა ამ მტკიცების უარყოფა, ამიტომ შვეიცარიის მთავრობამ წამოაყენა საკითხი ამხ. არენსის შვეიცარიიდან გაძევების შესახებ, შვეიცარიის დეპეშათა სააგენტო ოფიციალურად იუწყება ამის შესახებ

ბრალს სდებენ ფორმალისტიკას.

ბერლინი. 11 მაისი. ამხ. არენსის მიერ მოკავშირეებისათვის ამხ. ვოროვსკის მკვლელობაში მორალურ თანამონაწილეობის დაბრალების გამო, მოკავშირეთა დელეგაციები აქვეყნებენ ყველა იმ ცნობებს, რომელიც შეეხება კონფლიქტს რუსეთის დელეგაციის კონფერენციაზე დაშვების გამო. მოკავშირეები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ამხ. ვოროვსკი ლოზანაში ცხოვრობდა არა როგორც კონფერენციის ოფიციალური მონაწილე.

მკვლელები მხარს უჭერენ ერთი მეორეს.

ბერლინი. 11 მაისი. მოკავშირეები აშკარათ უჭერენ მხარს შვეიცარიის მთავრობას. შვეიცარიის მთავრობა ამხ. ვოროვსკის, არენსისა და დივილკოვსკის შვეიცარიაში შემოსვლის უფლების მიცემას შეცდომად აღიარებს შვეიცარიის საელჩოების მხრივ რომში და ბერლინში. ვინაიდან რუსეთის დელეგაციის ყოფნას ლოზანაში არა ოფიციალური ხასიათი ქონდა, არ იყო მიღებული მათი დაცვისათვის განსაკუთრებული ზომები, რაც იცოდა რუსეთის დელეგაციამ.

ამხ. ვოროვსკის ცხედარის გადატანა.

მოსკოვი 11 მაისი. 11 მაისს მოხდა ამხ. ვოროვსკის ცხედარის გადატანა ადგილობრივი სასაფლაოს კაპელაში. ცხედარის გადატანას დაესწრო ოსმალეთის დელეგაცია, და აგრეთვე გერმანელი, ოსმალო და ბერძენი კორესპონდენტები, შვეიცარიის კომპარტიის დელეგატები და შვეიცარიის ნაციონალური საბჭოს კომუნისტი—წევრები. სამგლოვიარო მსვლელობას წინ მიუძღოდა რუსეთის წითელი ჯვრის წარმომადგენელი ვოგოდსკი მეუღლის თანხლებით. ოსმალეთის დელეგატმა თანაგრძნობა გამოსთქვა ისმეტ-ფაშის და ოსმალეთის მთელი დელეგაციის სახელით. თანაგრძნობა გამოსთქვა აგრეთვე იტალიის კონსულმა.

ამხ. დივილკოვსკი გადაიყვანეს კლინიკაში, სადაც მას ამოუღებენ ტყვიას. მისი მდგომარეობა სერიოზულია.

ამხ. ვოროვსკის ცხედარის გადატანა მოსკოვში.

ბერლინი, 11 მაისი. ამხ. ვოროვსკის ცხედარს ლოზანიდან გადაიტანენ ბერლინში, იქიდან კი მოსკოვში.

ბურჟუაზიას ეშინია სამართლიანი რისხვის.

განოვერი. 11 მაისი. ლოზანიდან მიღებული ცნობით კანტონში გამოცხადებულია საალყო წესები. საალყო წესები გამოწვეულია კომუნისტების გამოსვლის შიშით, რომლებიც აღშფოთებული არიან ვოროვსკის მოკვლით.

საფრანგეთის პრესა მკვლელობის შესახებ.

პარიზი. 11 მაისი. გაზეთი „მატენი“ აღნიშნავს მხნეობას, რომელიც გამოიჩინა ამხ. არენსმა თავდასხმის დროს.

თითქმის მთელი საფრანგეთის პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს რადეკის განცხადებას, რომ ამხ. ვოროვსკის მკვლელობაში დამნაშავეა ინგლისის პროპაგანდა.

გაზეთი „პეპლ“-ი ამხ. ვოროვსკი ნ

კოოპერაციის
სამქვირეულისათვის

ცეკავშირის გამგეობის მოღვაწეობა.

(ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენება ცეკავშირის სესიაზე).

(დასასრული.*)

ცეკავშირის ქარხანა.

სხვა ქარხნები კი გადავიყვანეთ ისეთ მდგომარეობაში, რომ მათ უთხარით: შეინახეთ თქვენი თავი, ნურაფერს მოსთხოვთ ცენტრალურ კასას და ერთი ორი თვის შემდეგ კი პირიქით ვალდებული ხართ თითონ შემოგვიტანოთ. და მართლაც ცოტაოდენი თანხის მიცემის შემდეგ შესაძლებელი გახდა სტამბას და ძეხვის ქარხანას მოეცა მცირე მოგება. ჩვენგან მათ არაფერი მიაქვთ, ისტუმრებენ თავიანთ მიმდინარე ხარჯებს და შემოაქვთ ცოტაოდენი თანხა.

საკონსერვო ქარხანა გორში გავაფართოვეთ და მომავალ სეზონში დაიწყებს მუშაობას დიდი მასშტაბით, და დაამზადებს 500.000 კონსერვს და 10.000 ფუთ გამხმარ ხილს.

ამ საწარმოვო დარგში ფულის მხრივ ყურადღებას იქცევს საქსოვი და საკონსერვო ქარხანა. საქსოვ ქარხანას სჭირდება 60 კაცი-მუშა და ამისთვის საჭიროებს ერთგვარ თანხის მიცემას ამ მუშების შესანახათ. საქონელი კი დამუშავდება, მაგრამ გასაღდება ერთი თვის შემდეგ და ამ 60 კაცს ერთი თვის განმავლობაში შენახვა უნდა. ამას გვარიანი თანხის დაბანდება სჭირდება. ეს ერთი თვის თანხის დაბანდევა ჰპან საწყვეტი საკითხია. მაგრამ უფრო როთული საქმეა საკონსერვო ქარხანა. ზაფხულში კონსერვების გასაღება ძნელია. და თუ აბრეშუმის ქარხანაზე ერთი თვის ცდა გვჭირდება, აქ გაცილებით მეტი დრო იბანდება, ფული და საბრუნავი თანხაც მეტი გვჭირდება. აქ იმუშავებს 120 კაცი, აგრეთვე დასამუშავებელი ხილი სასყიდელია. ნავარაუდევია, რომ იქ სამი-ოთხი თვის განმავლობაში უნდა იქნეს დაბანდებული დიდი თანხა—70.000 მანეთი.

თუ სარგებლიანობის თვალსაზრისით შევხედავთ, იქნება ვთქვათ რათ მოვკიდეთ ხელი ამ საქმეს, თუ სარგებლობა ასე გვიან მოაქვსო. მაგრამ თუ გავიხსენებთ იმასაც, რაც აქ მოგახსენეთ სიმინდზე და სხვაზე, მაშინ დამეთანხმებით, რომ ჩვენ თუ ცოტასაც კიდეც დავადებთ ზედ და ამ საქმეს მაინც გაუძღვებით ესეც დიდი მოგება იქნება, მაგრამ თუ ბევრს დავადებთ ვერ შევძლებთ საქმის გაძღოლას. რაშია საქმე? ის დიდძალი ხილი, რომელიც გორის მაზრაშია, ეს ევროპიული ჯიშის ხილი, საჭიროა ადგილობრივ დამუშავდეს. მისი ერთ მდგომარეობაში გაჩერება შეუძლებელია წარმოება ან წინ უნდა მიდიოდეს ან უკან. და ამ რაიონს უეჭველად სჭირდება ისეთი ფაბრიკა, რომელიც მას მისცემს თავის შრომის ფასს, აუნაზღაურებს თავის ხელფასს გლეხობას და მისცემს მეტს, ვიდრე აქამდე იძლეოდა. მაშინ გლეხობაც უფრო მეტათ მოუვლის ამ კულტურულ საქმეს. ამიტომ შეიძლება მოგება აქედან ვერ ვნახოთ, თუმცა ხარჯთ აღრიცხვის მიხედვით ჩვენ მოგება უნდა გვქონდეს, მაგრამ შეიძლება ეს ასე არ მოხდეს, რაკი აქ გამოთქმულ მოსაზრებებს გავიზიარებთ. მარტო მოგების თვალსაზრისით არ ვიხელმძღვანელებთ, არამედ წარმოების ნიადაგზე დავადგებით, მაშინ უნდა ვიშოვოთ 70,000 მან. და ეს ფაბრიკა ავამუშაოთ, ე. ი. 500.000 კონსერვი და 10,000 ფ. გამხმარი ხილი დავამზადოთ.

სახალხო განათლების კომისარიატმა ჩვენ გადმოგვცა თიხა-ჭურჭლეულობის ქარხანა. ჩვენ ეს ქარხანა ავიღეთ საექსპლოატაციოთ იმ მიზნით, რომ დღეს დიდი მოთხოვნილებაა ბაზარზე სამზარეულო და სასადილო ჭურჭლეულობაზე,—მეტადრე სოფლათ. ქარხანას ვაფართოვებთ და ვაპირებთ ფართე მასშტაბით მუშაობას. შტატი ამ ქარხანაში ამ ჟამათ 15 კაცისაგან შესდგება.

ცეკავშირის განყოფილებების მუშაობა.

ფინანსიური დარგის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ მან დაამთავრა ანგარიში 1922 წლ. მართალია გამგეობას ჯერ ეს არ განუხილავს, მაგრამ მზათ არის და შეიძლება მისი განხილვა.

საორგანიზაციო და საინსტრუქტორო განყოფილების შესახებ ბევრს არ გავაგრძელებ ვიტყვი მხოლოდ, რომ აქაც არ იყო გაცხოველებული მუშაობა. ამის მიზეზი შეიძლება ის იყო, რომ საერთოდ მოდუნებული იყო მდგომარეობა და მუშაობა ცეკავშირში ალბათ და საინსტრუქტორო განყოფილება ამ მოდუნებას დაემორჩილა. მან გამოსცა გეხტმანის წიგნი. მშვენიერ ქაღალდზეა დაბეჭდილი, კარგი შრიფტია, მაგრამ ბევრი შეცდომებია, რის გამო კიდეც გაგვკიცხეს პრესაში.

კოოპერაციის რეორგანიზაციისათვის.

შემდეგ ერთად ერთი დადებით მხარე არის მთლიანი კოოპერატივების ქსელის შესახებ წარმოებული კამპანია. ამის შესახებ ცალკე მოხსენება იქნება, მხოლოდ ეხლა ვიტყვი, რომ მრავალ ამოცანებს შორის, თუ ეს რეორგანიზაცია ვერ ჩავატარეთ რიგიანათ, მაშინ არ ვიცი ვინ იქნება პასუხისმგებელი და რაზე დამყარდება ჩვენი „ეპო“. განზრახული იყო საქართველო დაქსელილ იყოს კოოპერატივებით, მაგრამ კოოპერატივები უნდა არსებობდენ იქ, სადაც ეს საჭიროა და სათანადო პერსონალიც მოიპოვება. თუ ამას შევქმნით მაშინ შეიძლება არხეინათ ვუყუროთ ჩვენ ოპერაციებს. ამის შესახებ დაწყებულია კამპანია და გადაწყვეტილია სამი კვირის განმავლობაში იწარმოვოს მან და ამ ხნის განმავლობაში უნდა დავჭიმოთ მთელი ჩვენი ძარღვები, მოვიხმაროთ მთელი ჩვენი ენერგია, რათა საფუძველი ჩაეყაროს ჩვენ მომავალ მუშაობას.

გამომუშავებული არის აგრეთვე ახალი წესდება, ინსტრუქცია, გაზეთებშიაც სწარმოებს კამპანია და ამას უნდა შესაფერი შეხვედრა.

ასეთია შეიძლება ითქვას ის ანგარიში, რომელიც გამოიხატება ციფრების და ფაქტების აღნუსხვაში და ამა თუ იმ დეფექტების დადებითი მხარეების აღნიშვნაში.

მომავალის გეგმები.

მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას ზოგიერთ გეგმებზე, რომელიც ჯერ-ჯერობით გვაქვს პროექტად და რომელიც ჯერ არ განხორციელებულა სხვა და სხვა მიზეზების გამო. ცეკავშირი არის ცენტრალური ორგანიზაცია, რომელიც ითვალისწინებს მთელი რესპუბლიკის მდგომარეობას მეურნეობის მხრით, სცდილობს გამონახოს ისეთი რაიმე, რომელიც მთელ ქვეყანას თანასწორად შეეხება, ისეთ რამეს მოკიდოს ხელი, რომელშიც ჩაებას ერთნაირად ყველა ჩვენი ნაწილები.

ის მეურნეობა, რომელიც წარმოებს დღეს ჩვენში, არის ადამისეპური დროის მეურნეობა, რომელმაც ყველგან დრო მოსჭამა, გარდა ჩვენისა, აქაც დრო მოჭმული აქვს და სასტიკათ სჯის მიწის მუშას. მაშინ როდესაც დღეს სრული გზა აქვს მიცემული კოლექტიურ მოქმედებას. ახალი შემოქმედებისას საჭიროა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც იქნება კოლექტიური სულის მატარებელი, და რომელიც რაიმე ახალ გზას გამონახავს. უჩვენებს მაგ. გლეხს, რომელიც მიწის სივიწროვეს განიცდის როგორ უნდა შემოვლა ამ უბედურობას. როგორ განაყოფიერდეს მიწა, უფრო კულტურულად იქნეს იგი დამუშავებული, რომ მეტი ნაყოფი მოიტანოს. მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ მხრივ მოაზროვნე სხვაც ბევრია, რომელიც სხვა და სხვა სახელმწიფოებრივ დავალებებით ვალდებულია ასეთ ხასიათის მეურნეობას გაუძღვეს. კოოპერაციას ამ მხრივ უხდება ისეთ დარგში მუშაობა, რომელიც წმინდა ორგანიზაციულ მეთოდებით შეიძლება მიღებულ ინეს.

ფოთის ჭაობის ამოშრობა.

ჩვენ შევიტანეთ მიწად-მოქმედების კომისარიატში წინადადება, რომ გადმოეცეს ცეკავშირს საიჯაროთ 25—15 წლის ვადით ფოთის ჭაობები. ამაზე ლაპარაკმა შეიძლება ბევრში გაკვირვება გამოიწვიოს, ვინაიდან ყველამ იცის დღეს რას წარმოადგენს ფოთის ჭაობები, როგორ სწამლავს ის გურიას, სამეგრელოს და მთელ იმერეთს. ეს ჭაობები უდრის 80.000 დესეტ. და იმდენად დამპალია მიწა და ჰაერი, რომ იქ ცხოვრება შეუძლებელია. იმავე დროს მეცნიერულად გამოკვლეულია, რომ ნიადაგი იქ საუცხოვოა, რომ იქ შეიძლება ყოველგვარი მცენარეების მოშენება. მაგრამ მას უნდა გაწმენდა, სჭირდება დიდ ძალი ხარჯი, რამოდენიმე წლის მუშაობა. ჩვენ ვიცით, რომ 80.000 დესეტ. ჭაობის აღებაზე ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი, მაგრამ ჩვენ შევჩერდით მხოლოდ 12000 დესეტინაზე, რომელიც შედარებით უფრო იოლად შეიძლება დავამუშაოთ. ჩვენ ვთხოვეთ მიწად-მოქმედების კომისარიატს, რომ სრულიად მუქთად გადმოეცათ მიწის ეს ნაჭერი იმ პირობით, რომ ჩვენ გავწმენდდით, დავასახლებდით ხალხს და დავაწესებდით, რა თქმა უნდა, ერთგვარ გადასახადს და მერმე დრო როცა გავიდოდა გადავცემდით მთავრობას.

თუ ამის ნებართვა მივიღეთ უნდა გამოვნახოთ ის საშვალება, რომლითაც შევვეძლება ხალხი ჩავასახლოთ იქ და აგრეთვე გამოვნახოთ, თუ როგორ უნდა იქნეს დამუშავებული იქ ნიადაგი. რასაკვირველია არა იმ წესით, როგორც აქამდის სწარმოებს ადგილობრივ მიწის დამუშავება. უეჭველად ამ მხრივ ახალი ფორმები უნდა გამოინახოს, ახალი მეურნეობის ტიპი უნდა შეიქმნეს. სამწუხაროდ ამის შესახებ კომისარიატმა ჯერ არ მოგვცა პასუხი.

კოოპერაციის შემოქმედითი მუშაობა რაიონებში.

შემდეგ უნდა მოგახსენოთ, რომ ლაპარაკი გვქონდა ამხანაგებთან, რომ თქვენ რაიონებს მოუარეთ, რომ თქვენს რაიონში თქვენ ხართ ბატონ-პატრონი და უნდა მიაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ იქ არაფერი კეთდებოდეს მეურნეობის თვალსაზრისით უთქვენოთ. იფიქრეთ შემდეგ გაუმჯობესებისათვის და დაამტკიცეთ რომ კოოპერატორი არ არის მარტო ზურგზე საქონელ აკიდებული ვაჭარი, არამედ შემოქმედი. ეს არა ერთხელ გვითქვამს, მაგრამ სისრულეში არც ერთხელ არავის მოუყვანია.

ერთგან მოინდომეს წყალსადენის გაყვანა. ჩვენ დავპირდით ტეხნიკურ დახმარებას, ინჟენრებს, თუ ადგილობრივი კოოპერატივი გაუძღვებოდა ამ საქმეს და აამუშავებდა გლეხებს. რაც შეეხება მილებს ამათ რასაკვირველია ხარჯი უნდა მაგრამ ეს ხარჯი არ არის უმთავრესი ხარჯი. აქ უმთავრესად მუშის ხარჯია, რომელიც უფასოთ ექნებოდათ. ამ საქმეს შეუდგენ, მაგრამ ვერ დაასრულეს. იქვე შეუდგენ ელექტრონის სადგურის მოწყობას. ყოველი მხრიდან გვესმის ამის მოთხოვნილება. აგრეთვე ტრაქტორები გვინდაო და სხვა. და მართლაც ყურადღება მისაქცევია ელექტროფიკაციის საკითხი ბოლოს და ბოლოს.

ჩვენში ისეთი სოფელი არ არის, რომ მდინარე არ უდგებოდეს, და ამ მხრივ ყველა ჩვენი მდინარე ძალიან დიდ ძალას წარმოადგენს და შესაძლებელია მისი გამოყენება, ოღონდ გამოჩენილი უნდა იყოს უნარი ჩვენი კოოპერატივების მიერ. მათი გამოყენება მეტად ადვილია და ურიგოს არ იზამს ჩვენი ბიურო თუ ამ საკითხის შესახებ თავის დასკვნას გამოიტანს და საფუძვლიანად დაავალდებულებს კოოპერატივებს, რომ ამ მხრით ერთგვარი ზომები იქნეს მიღებული.

მე მგონია, რომ შესაძლებელია ერთგვარი შეჯიბრება მოხდეს, მაგალითად გადავდვათ პრემია კოოპერატივთა შორის თუ გინდათ 1.000 მან. ოქროთი. პრემია დაუნიშნოთ ისეთ კავშირს, რომელიც კოოპერატივთა შორის დაარსებს ელექტრონის სადგურს, გაანათებს სოფელს, მისცემს ენერგიას წისქვილს და სხვას. შეიძლება ასეთი პრემია ორი სამი დავაარსოთ, რომ რამდენიმე კუთხეში შეუდგენ ამ საქმეს. დღეს შეიძლება ეს საკითხი ვინმეს კარგ ხასიათზე აყენებდეს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ერთგვარ პრემიას დავარსებთ და ჯილდოს მივცემთ ამ საქმის მომწყობს, გამოჩნდება ვინმე კოოპერატორი, რომელიც საფუძველს ჩაუყრის ამ საქმეს და სრული შესაძლებლობაა, რომ უნარიანი კაცი ამას განახორციელებს თუ შესაფერ აგიტაციას გასწევთ და ცენტრის სახელით ავტორიტეტს მოუპოვებთ ამ იდეას.

ავიაციისათვის ხელის შეწყობა.

ერთი პატარა საკითხი. საქმე შეეხება ავიაციას (ხმები: გემი გვაქვს) დიახ ჩვენ „გემი გვაქვს“, რომელიც ამ მოკლე ხანში წაიღებს ბორჯომის წყალს, გაყვება ოდესისაკენ და მასთან წაიღებს სხვა და სხვა სანიმუშო საქონელს, რომ მიაწოდოს შავი ზღვის პირა, ქალაქებს. აგრეთვე მოლაპარაკება დამთავრებულია ქალაქის აღმასკომთან, რომლისთვისაც ნოვოროსიისკიდან უნდა ჩამოვიტანოთ დიდძალი ცემენტი ასე, რომ ეს გემი, რომელიც აქამდე ზარალის მეტს არაფერს გვაძლევდა ფულს აიღებს თავის შესანახათ.

ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ავიაციის შესახებ, ჩვენც უნდა გამოვეხმაუროთ. მაგრამ ისე, რომ სიტყვა დაუყოვნებლივ საქმეთ ვაქციოთ, ამის იმედი გვაქვს მით უმეტეს, რომ ისეთი ავტორიტეტული დაწესებულებები, როგორიც არიან პროფკავშირი და კომუნისტური პარტიის ცეკა ჩვენთან ერთად უდგებიან საქმეს.

ჩვენ ვურთდებით ამ დაწესებულებებს და ასე სამი ცენტრალური ორგანიზაციის თაოსნობის მათი ხარჯით და უნარით შევქმნით ერთ ჰაეროპლანს, რომელიც იქნება ჩვენსავე განკარგულებაში და სამსახურში. ამით ვათავებ ჩემს მოხსენებას.

---

*) იხ. „კომ.“ № 107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესაც გრძელდება ტუბერკულიოზის სამდღეული. მოქალაქენო, შეასრულეთ თქვენი მოვალეობა.

მოკვლას უწოდებს დანაშაულს ადამიანის უფლებების წინააღმდეგ და ბრალს სდებს შვეიცარიის მთავრობას თავისი საერთაშორისო მოვალეობის არ შესრულებაში.

ავსტრიის პროლეტარიატი აღშფოთებულია.

ვენა. 12 მაისი. ავსტრიის პროლეტარიატში ამხ. ვოროვსკის მოკვლამ დიდი აღშფოთება გამოიწვია.

თანაგრძნობას გამოსთქვამენ.

მოსკოვი. 13 მაისი. გუშინ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი ინახულა იტალიის დელეგაციის მეთაურმა ამადორიმ, რომელმაც ითხოვა იქ მყოფ ამხ. ჩიჩერინისათვის თანაგრძნობის გადაცემა ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო. ამადორი იუწყება, რომ მან მიიღო დეპეშა მუსოლინისაგან თხოვნით გადასცეს ამხ. ჩიჩერინს მწუხარება ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო.

გერმანიის ელჩმა ბროკდორ ფრანცაუმ ამხ. ლიტვინოვს თანაგრძნობა განუცხადა და ბარათი დაუტოვა ამხ. ჩიჩერინს.

ვატიკანის წარმომადგენელმა პროფ. ვოლფმა სტატს-სეკრეტარის კარდინალ გასპარის სახელით მწუხარება გამოსთქვა ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო და წერილით სთხოვა ამხ. ჩიჩერინს მიღება ამ განცხადების პირადათ გადასაცემად.

თანაგრძნობა გამოსთქვეს აგრეთვე შვეციის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ, ოსმალეთის და სპარსეთის ელჩებმა, ლატვიის და ლიტვის რწმუნებულებმა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოადგილემ.

ამხ. ვოროვსკის წერილი.

პარიზი. 11 მაისი. ლოზანადან მიღებული ცნობით ბერლინში საბჭოთა საელჩოს ორმა წარმომადგენელმა, რომლებიც ამ ჟამად ლოზანაში იმყოფებიან, გამოაქვეყნეს ამონაწერი ამხ. ვოროვსკის წერილიდან, რომელიც მას 9 მაის დაუწერია. ამ წერილში ამხ. ვოროვსკი ბრალს დებდა შვეიცარიის მთავრობას იმ გარანტიების დარღვევაში, რომელიც საბჭოთა დელეგაციას მიეცა ლოზანას კონფერენციის დასაწყისში და მთელ პასუხისმგებლობას საბჭოთა დელეგაციის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ გამოსვლების შესაძლებლობაში აკისრებდა შვეიცარიის მთავრობას.

საპროტესტო დემონსტრაცია.

პარიზი. 14 მაისი. შვეიცარიის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა ცნობა დიდი დემონსტრაციების შესახებ ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო.

[illegible]

პარიზი. 14 მაისი. შვეიცარიის მთავრობამ აკრძალა შვეიცარიის კომუნისტური პარტიის მიერ განზრახული დემონსტრაცია. ამ დადგენილებას შვეიცარიის მთავრობა ასაბუთებს იმით, რომ მკვლელობა შეეხება „მხოლოდ“ სისხლის სამართლის პოლიციას და არა პოლიტიკას.

მკვლელების ფარისევლობა.

ბერლინი. 14 მაისი. შვეიცარიის საკავშირო საბჭომ დაადგინა გაგზავნოს ლოზანაში ამხ. ვოროვსკის ნათესავებისათვის თანაგრძნობის გადასაცემად თავისი წარმომადგენელი.

ანგორის მთავრობის თანაგრძნობა.

ანგორა. 12 მაისი. ოსმალეთის საგარეო საქმეთა კომისარმა თანაგრძნობა გადასცა ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელს.

ანგორის პრესა მკვლელობის შესახებ.

ანგორა. 13 მაისი. ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო გაზეთი „ხაკიმეთი მილიე“ სწერს: „ვოროვსკი მოკლეს, ის კი იყო დელეგატი, ჩვენ ღრმად გვამწუხრებს მეგობარ ქვეყნის დელეგატის მოკვლა. ჩვენ გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებთ ჩვენ მეგობრებს.

ლოზანაში ამზადებდენ კიდევ ერთ მკვლელობას.

ლონდონი. 14 მაისი. ლოზანიდან მიღებული ცნობით იქ ამზადებდენ აგრეთვე ისმეტ-ფაშას მოკვლას. ამბობენ, რომ ამ უკანასკნელის მკვლელებს კავშირი ქონდათ ამხ. ვოროვსკის მკვლელთან. ოსმალეთის დელეგაციამ მოითხოვა გაძლიერებული დაცვა.

დამნაშავე არიან წამქეზებელნი.

ანგორა. 13 მაისი. გენ. პელლეს მიერ გამოქვეყნებულ ცნობის გამო ისმეტ-ფაშის მოსაკლავად მზადების შესახებ „ენდიგიუნი“ სწერს: „ასეთი მკვლელობა გამოიწვევს ოსმალეთის ხალხის აღშფოთებას. დამნაშავე არიან წამქეზებელნი“.

მკვლელი ფაშისტების დავალებების თანახმად მოქმედებდა.

ბერლინი, 11 მაისი. შვეიცარიის პოლიციის განცხადების საწინააღმდეგოთ, გერმანიისა და ინგლისის პრესა ამტკიცებს, რომ მკვლელი მოქმედებდა შვეიცარიის ნაციონალურ ლიგის უშუალო დავალებების თანახმად. შვეიცარიის ფედერატიულ საბჭოში კომუნისტებს და სოციალ-დემოკრატებს არა ერთხელ მიუქცევიათ ყურადღება მთავრობისათვის ნაციონალურ ლიგის მოქმედებისათვის და აფრთხილებდენ მას, რომ მისი წევრები მკვლელობას მიმართავენ. მაგრამ მთავრობის წევრები აცხადებდენ, რომ ლიგის დაშლისათვის არ არის არავითარი საფუძვლებიო.

შვეიცარიის მთავრობა პასუხისმგებელია მკვლელობისათვის.

ჰანოვერი. 11 მაისი. ბერლინის საბჭოთა წარმომადგენლობამ დელეგაცია გაგზავნა ლოზანაში ამხ. ვოროვსკის მკვლელობის გარემოებების გამოსარკვევად და მისი სხეულის ბერლინში ჩამოსატანად. წარმომადგენლობაში აცხადებენ, რომ საბჭოთა მთავრობა ოფიციალურ პროტესტს წარუდგენს შვეიცარიის მთავრობას, რომელსაც ის სთვლის მკვლელობაში პასუხისმგებლად, რადგან მან არ მიიღო თავის დროზე შესაფერი ზომები რუსეთის დელეგაციის დასაცავად.

ერთი ჯაჭვის რგოლები

ჰანოვერი 11 მაისი. ბერლინში დღეს ჩამოსულმა ამხ. რადეკმა, საუბრის დროს განაცხადა, რომ ამხ. ვოროვსკის მკვლელობაში პასუხისმგებლობა ედება კერზონს, რომელმაც მოინდომა ახალი ინტერვენციის მოწყობა რუსეთის მიმართ. კერზონს ისევე სურს მოექცეს რუსეთს, როგორც საფრანგეთი მოექცა გერმანიას, მაგრამ რუსეთი გერმანიაზე უკეთ დაიცავს თავს.

ამხ. ვოროვსკი სცდილობდა რუსეთის დასავლეთთან დაახლოვებას.

ბორდო 11 მაისი. უკეთებს რა შენიშვნას ამხ. ვოროვსკის მოკვლის ამბავს, გაზ. „ტანი“ სწერს: ვოროვსკი სცდილობდა რუსეთის დასავლეთთან დაახლოვებას. ამ სიკვდილზე შეიძლება მწუხარება გამოვსთქვათ როგორც რუსეთის, ისე მთელი ქვეყნის ინტერესების თვალსაზრისით.

გერმანია და ანტანტა

ინგლისის ნოტა.

ლონდონი 10 მაისი. ინგლისის ნოტა გერმანიისადმი თითქმის დამთავრებულია. ნოტის გაგზავნა დაგვიანდება იტალიის წინადადების გამორკვევამდე. ნოტის ასლი გაეგზავნება საფრანგეთს და ბელგიას და, შესაძლებელია, შეერთებულ შტატებსაც. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს ხმებს, რომელთაც ავრცელებს საფრანგეთი იმის შესახებ, თითქოს ინგლისს და იტალიას განზრახული ჰქონდეთ შემოიერთონ ამერიკა ნოტაში.

გერმანია ადგენს ახალ წინადადებებს

ბერლინი 12 მაისი. „ნიუ-იორკ ტრიბუნ“-ის ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ გერმანიის მთავრობა უკვე შეუდგა ახალი წინადადებების შემუშავების სარეპერაციო საკითხის შესახებ. ეს წინადადებები უნდა იქნეს პასუხი ინგლისის ნოტაზე რომელსაც მოელიან ბერლინში.

იმავე კორესპონდენტის ცნობით ინგლისის ნოტა აკრიტიკებს გერმანიის მთავრობას და ამტკიცებს გერმანიის მიერ წარმოდგენილი რეპარაციების ჯამის სიმცირეს და აგრეთვე ხაზს უსვამს იმას, რომ საჭიროა გერმანიამ შეიმუშავოს ახალი წინადადებანი, რომლებშიაც იქნება უფრო მეტი კონკრეტიული გარანტიები. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გერმანიას განზრახული აქვს ერთსა და იმავე დროს უპასუხოს საფრანგეთსაც და ინგლისსაც და ფიქრობს, რომ გერმანიის მთავრობა არ შეცვლის მის მიერ დასახელებულ ჯამს—30 მილიარდ ოქროს მარკას, თუმცაღა შეეცდება დააკმაყოფილოს საფრანგეთიც და ინგლისიც.

ფაშიზმის წინააღმდეგ

ბერლინი. 12 მაისი. მთელს იტალიაში იფეთქა დიდმა ანტი-ფაშისტურმა მოძრაობამ. გაზეთი „ტორინო“ იტყობინება დიდ ანტი-ფაშისტურ აჯანყებაზე სიცილიაში. მესინაში ანტი-ფაშისტურ დემონსტრაციის დროს დაჭრილია 16 დემონსტრანტი.

ავსტრია

ვენა. 12 მაისი. ავსტრიის კომპარტიამ ფაშისტებთან ბრძოლის მიზნით 9 მაისს ვენაში მოაწყო 9 მიტინგი. მიტინგებზე გამოტანილია საპროტესტო რეზოლიუციები პოლიციის უდიერი მოპყრობისა და ფაშისტების გამოსვლებისათვის მთავრობის მხრივ ხელის შეწყობის წინააღმდეგ. რეზოლიუციაში მოუწოდებენ ყველა შეგნებულ მუშებს, რათა ემზადონ გადამჭრელ ბრძოლისათვის თავდაცვის პროლეტარული ორგანიზაციების მოწყობის გზით.

რუსეთ-ინგლისის შერეული საზოგადოებანი.

მოსკოვი. 11 მაისი. კონცესიების მთავარმა კომიტეტმა გუშინდელ სხდომაზე განიხილა პროექტი ხელშეკრულებისა ნავთის სინდიკატს და ინგლისის ჩარლ სელის ჯგუფს შორის. შერეული საზოგადოების საშუალებით განზრახულია განვითარებულ იქნეს რუსეთის საექსპორტო ნავთის პროდუქტების გასაღება. ეს საზოგადოებანი ვალდებული არიან პირველი წლის განმავლობაში გაანაწილონ დიდ-ბრიტანეთში და ირლანდიაში საკომისიო ნიადაგზე 100,000 ინგლ. ტონამდე ნავთი, ხოლო მომავალ წლებში ეს რაოდენობა აიყვანონ 150,000 ინგ. ტონამდე. კონცესიების მთავარმა კომიტეტმა შეიტანა მცირეოდენი შესწორებანი პროექტში და დაადგინა, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე, შეიტანოს ის დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოში.

სხვადასხვა ამბები

იტალია

ფაშიზმის თარეში

რომი. 12 მაისი. რავენაში ფაშისტებმა დასწვეს გაზ. „კორიერა დელა სერა“-ს ყველა ნომრები. გილიატში, ბოლონიის მახლობლად, ფაშისტებმა დაანგრიეს ყველა საგლეხო კოოპერატივები, ბარრაში ფაშისტებმა დასწვეს მუშათა კლუბები. ასევე ჩაიდინეს გენუაშიც. ამავე დროს ფაშისტები არ ანებებდენ ცეცხლის მქრობელებს ცეცხლის ჩაქრობას.

კატანიაში ფაშისტების და ანტი-ფაშისტური ჯგუფების შეტაკების დროს დაჭრილია რამოდენიმე კაცი.

იტალია-ავსტრიის ხელშეკრულების რატიფიკაცია

რომი. 14 მაისი. ვენიდან იტყობინებიან, რომ ავსტრიის პარლამენტმა დაამტკიცა იტალია-ავსტრიის პოლიტიკური და სავაჭრო ხელშეკრულება.

გაფიცვები იზრდება

რომი. 14 მაისი. რკინის გზელების და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა ბელგიაში იზრდება. ამის გამო რკინის გზით მიმოსვლა, ფოსტის და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა თითქმის შეჩერებულია.

სამუშაო ხელფასის მომატებას მოითხოვენ

ბერლინი. 14 მაისი. გერმანიის სამთომადნო მუშებმა უარყვეს გერმანიის შრომის სამინისტროს გადაწყვეტილება და დაჟინებით მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებას.

პერიმ სიმშილობა გამოაცხადა

პარიზი. 14 მაისი. საფრანგეთის კომუნისტმა პერიმ, რომელიც მოთავსებულია „სანტის“ საპყრობილეში გერმანიის რეიხსტაგის დეპუტატ კომუნისტ გალეინთან ერთად, გამოაცხადა სიმშილობა.

უცხოეთის ცხოვრება

ევროპის ეკონომიური მდგომარეობა

საფრანგეთში. მძიმე ინდუსტრიის მდგომარეობა კიდევ კრიტიკულია, მაგრამ მცირეოდენი გაუმჯობესება ემჩნევა კოქსის მიწოდების საქმეს, რომელიც აიხსნება ლოტარინგიის მემალაროების გაფიცვის შეწყვეტით და რურის ოლქიდან კოქსის შემოზიდვის ზრდით. საზოგადოებამ, რომელიც აწვდის კოქსს საფრანგეთის ყველა ქარხნებს, შეამცირა თავისი ამერიკის დაკვეთები, ითვალისწინებდა რა რურიდან დაკმაყოფილებას.

სამაგიეროდ მარტის განმავლობაში ცხოვრება საგრძნობლად გაძვირდა. 13 საკვები საგნის სხვადასხვა ფასის ოფიციალური ინდექსი გაიზარდა პარიზში მარტის ბოლოს 221 პროცენტით, 1914 წლის ფასების ინდექსთან შეფარდებით. თუ მივიღებთ პარიზის 4 სულისაგან შემდგარი ოჯახის ბიუჯეტს 100, 22 წლის სექტემბრის ბოლოს ის შეადგენდა 289, დეკემბრის—300 და 23 წლის მარტის დასასრულს—324. ამ რიგად საფრანგეთის ინდექსები გვიჩვენებენ ფასების და ცხოვრების სიძვირის ზრდას, რაც წარმოადგენს ქაღალდის ფულების გამოშვების პირდაპირ შედეგს.

ინგლისში. საფინანსო წელიწადი დამთავრდა ზედმეტით—101,5 მილ. გირ. სტერლინ. ეს ზედმეტი უმთავრესად შედეგია შემოსავალის ზრდის და კერძოდ შემოსავლის ქვალობითი გადასახადის აკრეფისა; 329 მილიონ გირ. სტერ. მაგიერ, შემოსავლის ქვალობითი გადასახადიდან შემოვიდა 379 მილ. გირ. სტერ.

პარტიული ცხოვრება

— ოთხშაბათს 16 მაისს, დილის 11 საათზე სტუდენტთა კომიტეტის ცენტრალურ ბიუროს ოთახში (საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი) დანიშნულია ცენტრალურ ბიუროს პლენუმის სასწრაფო სხდომა.

მოწვეულნი არიან: ამხ. ამხ. დ. კანდელაკი, მარიამ ორახელაშვილი, შუშანია, ან. ბუაჩიძე, ვ. მეუონიძე, ა. ჯაფარიძე და ყურულაშვილი.

საქ. კომპარტიის ცეკას, ტეკას და ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

პასუხისმგებელ მდივანის მაგიერ **სტეფანოვი**.

— საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა კომუნისტ პროფესორებს, დოცენტებს და უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში ანგარიშზე ასაღებად.

ტფ. კომიტეტის მდივანის მაგიერ **რუბენი**.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ა. წ. 15 მაისს, დღის 12 საათზე საგიტ. საპრ. განყოფილების ბინაზე დანიშნულია თ. კ. სააგ.-საპრ. განყ. კოლეგიის წევრების თათბირი.

დღის წესრიგი:

1) საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპ. განყოფილების და პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ-განმანათლებელ განყოფილების ანგარიში.

ყველა წევრების დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

სააგ.-საპრ. განყ. გამგე: **ესსენი**.

ეკონომიური ცხოვრება

ბირჟის დროებითი დახურვა.

სამეურნეო ორგანოების ყველა ანგარიშების ჩერვონცებზე გადაყვანის მომზადებისა და ამ გარემოებასთან დაკავშირებულ საბირჟო ოპერაციების და ანგარიშების რამოდენიმეთ რეორგანიზაციის გამო, ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარის განკარგულებით თბილისის საქონლისა და საფონდო ბირჟა დროებით დაიხურა.

ვალიუტის კურსის დაწესება.

ბირჟის დაკეტვის დროს ვალიუტის კურსს აწესებს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სპეციალური კურსის დამწესებელი კომისია.

ბირჟის მოთხოვნილება.

ფოთოლიანი თამბაქოს სოხუმის და ლაგოდეხის, სოდა „ბუდა“, ქვა-მარილი, მატყლი, ბრინჯი, ბამბა, თუშური მატყლი, ჯაგარი, რუსული მანუფაქტურა, რუსული ასანთი, ლურსმანი, მზესუმზირას ზეთი, ტეხნიკური ცხიმი, შაბიამანი, ჩაი, მარცვლეული და პურის პროდუქტი, შაბი, ნაფტალინი, პარაფინი, ცელები, ფოცხები.

სამაზრო სასურსათო კომისრების თათბირი

(პირველი სხდომა)

თერთმეტ მაისს, დღის 12 საათზე, მუშათა მთლიან კოოპერატივის შენობაში გაიხსნა სამაზრო სასურსათო კომისრების თათბირი. თათბირის მთავარ ამოცანას შეადგენდა გამორკვევა ყველა იმ საკითხებისა, რომელნიც დაკავშირებულია მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის პრაქტიკულად განხორციელებასთან. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ა. ერქომაიშვილი, მის ამხანაგებად თავდიშვილი და კუხალეიშვილი. თათბირის საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნენ ბუნიატ-ზადე და ამხ. მ. ოკუჯავა.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ერქომაიშვილი. მისი მოხსენების მთავარი დებულებები შემდეგია: საჭიროა შევადგინოთ დასახელებულ ადგილების სიები; საქართველო დავყოთ რაიონებად და გამოვარკვიოთ თუ რომელ რაიონმა უნდა იხადოს ნატურით, რომელმა ფულით, და სად მივიღოთ გადასახადების შერეული ფორმა. ასეთ ცნობების მიღება საჭიროა საშუალოდ გლეხობისაგან. მოსავლიანობის ხარისხი დასავლეთ საქართველოსათვის გამორკვეულ უნდა იქნეს 15 აგვისტომდე, აღმოსავლეთ საქართველ. კი—15 ივლისამდე. განსაკუთრებით საჭიროა გამოვარკვიოთ თვითეულ მაზრისათვის მოსავლის აკრეფის და მისი რეალიზაციის ვადა, ვინაიდან ამისგან იქნება დამოკიდებული გადასახადის აკრეფის დაწყება.

ერქომაიშვილის შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამ.-კავკასიის სასურსათო სახ. კომისარი ბუნიატ-ზადე, რომელმაც მტკიცე რწმენა გამოსთქვა იმის შესახებ, რომ მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია ღირსეულად იქნება ჩატარებული.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ყველა მაზრების წარმომადგენელთა მოხსენებანი იმის შესახებ თუ მაზრებში რა დაბრკოლებები ელობებოდა წარსულში სასურსათო გადასახადების აკრეფას და რა დაბრკოლებებია მოსალოდნელი მომავალში.

აგრეთვე მომხსენებლები მიუთითებდენ იმ ზომებზე, რომელთა გატარება საჭიროა სასურსათო გადასახადების წესიერ აკრეფისათვის. მომხსენებლების აზრით, მომავალში სასურსათო გადასახადების აკრეფის უკეთესი პერსპექტივა იშლება, ვინაიდან უკვე საკმაოდ მოიპოვება გამოცდილი მუშაკები. აგრეთვე ისინი ხაზს უსვამდენ იმ გარემოებას, რომ საჭიროა გადასახადების აკრეფის შერეულ ფორმის შემოღება—ნაწილად ფულით, ნაწილად ნატურით.

საბეითლო საქმის მდგომარეობა საქართველოში

(აპრილის თვის განმავლობაში)

მსხვილფეხა საქონლის ჭირი

აპრილის განმავლობაში საქონლის ჭირი გავრცელებული იყო: თბილისის მაზრის 1 პუნქტში, გორის მაზრის 1 პუნქ.. ახალქალაქის მაზ. 1 პუნქტში, ბორჩალოს მაზრის. 1 პუნქ., სამხრეთოსეთის 1 პუნქ. სულ 6 პუნქტში.

აღნიშნულ პუნქტებიდან აპრილში ჭირი გაჩნდა მხოლოდ ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებში.

საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებულ ზომებით ჭირი მოსპობილ იქნა 4 პუნქტებში.

ციმბირის ჭირი

საქონლის ციმბირის ჭირით ავადმყოფობას ადგილი ჰქონდა გორის, თბილისის, სენაკის და ბორჩალოს მაზრებში. მას სპორადიული ხასიათი ჰქონდა და არ გავრცელებულა. ბორჩალოს მაზრაში ვაქცინით აცრილი იქნა 585 თავი საქონელი და ბათომის მაზრაში—14 ცალი. აცრის შედეგები კარგი იყო.

ღორების ავადმყოფობა

ამ ჟამად საბეითლო განყოფილებამ თავის უმთავრეს ამოცანად დაისახა ბრძოლა ღორების ავადმყოფობასთან. ამ საქმის მოწესრიგებაში „ზაკტპო“-მ მიიღო დიდი მონაწილეობა. მან განყოფილებას ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიისათვის დაუთმო შესაფერისი შენობა ნავთლუღში, თავის ეკონომიაში, და აგრეთვე ღორები იმუნიზაციისათვის.

ცხვრების ყვავილი

ყვავილი დიდ ზიანს აყენებს მეცხვარეობის საქმეს საქართველოში. განყოფილებამ ამ სენთან ბრძოლის მიზნით მიმართა საზოგადოება „მწყემს“, გაეწია დახმარება აცრისათვის საჭირო მასალების დამზადებაში. მაგრამ ამ საზოგადოებას ჯერ-ჯერობით დახმარების გასაწევად რეალური ნაბიჯი არ გადაუდგამს.

საბჭოთა რესპუბლიკების საბეითლო განყოფილებათა წარმომადგენლების ყრილობა მოსკოვში

აღნიშნულ ყრილობაზე გაგზავნილი იყვნენ დელეგატებად ბეითლები მასხარაშვილი და თევზიევა. ყრილობამ დაადგინა აწარმოოს ინტენსიური ბრძოლა საქონლის ჭირის წინააღმდეგ.

ტაბახმელას სადგური

ტაბახმელას ჭირის საწინააღმდეგო სადგურზე ირიცხებოდა 128 თავი მსხვილფეხა საქონელი და 5 ცხენი. აპრილის განმავლობაში დამზადებულ იქნა შრატი 231.510.

შემოსავალ-გასავალი

საანგარიშო თვეში შემოსავალი უდრიდა 5,966,118,000 მანეთს, გასავალიც შეფარდებული იქნა შემოსავალთან და იმავე ოდნობისა იყო.

პროფკავშირებში

მედ. სანიტარულ კავშირის კულტ-განყოფილების ანგარიში

კულტ-უჯრედების კონფერენცია

აპრილის განმავლობაში მოწვეულ იქნა კულტ-უჯრედების კონფერენცია, სადაც მოსმენილ იქნა მოხსენებები კულტ-მუშაობის შესახებ ადგილებზე, შემუშავებულ და განმარტებულ იქნა დებულებები კულტ-კომისიის და კულტ-მუშაობის შესახებ.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ჩქარი ტემპით სწარმოებს. მოხდა გამოშვება სამი სკოლის მოწაფეების. გამოცდების დროს მოწაფეებმა დაკვირვება და შესაფერისი ცოდნა გამოიჩინეს. გამოცდებს ესწრებოდა განყოფილების წარმომადგენელი რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოსთან გახსნილ იქნა პირველ საფეხურის სკოლა.

პროვინციაში

გახსნილ იქნა სკოლები ფოთში და ახალქალაქში ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. მოწაფეთ მიეცა სახელმძღვანელოები და წიგნები.

პროფტეხნიკური განათლება

საფარმაცევტო კურსებზე გამოცდები დასრულდა. კავშირს განზრახვა აქვს გახსნას კიდევ ასეთი კურსები, რადგანაც მოთხოვნილება დიდია. ამისათვის კავშირი იღებს ზომებს საერთო საცხოვრებელ ბინის მოსაძებნად. როგორც თბილისში ისე პროვინციაში მოწყობილ იქნა ლექციები სანიტარიიდან.

პოლიტ-წრეებში

პოლიტ-წრეები გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ. არსებული სამი პოლიტ-წრე დიდი ენერგიით შეუდგა პოლიტანბანის უცოდინარობასთან ბრძოლას. წევრები იჩენენ ინიციატივას. გამოდის ხელთნაწერი ჟურნალი „შილო“ და „მთავარ საავადმყოფოს მაუწყებელი“.

სამკითხველოები

აპრილის განმავლობაში გახსნილი იქნა სამკითხველოები სამ ადგილას. კავშირმა ბევრი წიგნები დაუგზავნა პროვინციებს.

წითელ ჯარში

წითელ ჯარში ახალგაზრდების გაწვევის შედეგები ქ. ტფილისში და მის მაზრაში

— **25 და 26 აპრილს** გამოცხადდა 438, მიღებულია 153. მიღებულთა რიცხვიდან ქართულ ენის მცოდნე არის 136, რუსული—17.

— **27—28 აპრილს** გამოცხადდა—809, მიღებულია 456. მიღებულთა რიცხვში ქართულ ენის მცოდნე არის 358, რუსულის 98.

— **29—30 აპრილს** გამოცხადდა 816, მიღებულია 450. მიღებულთა რიცხვში ქართულ ენის მცოდნე არის 338, რუსული 112.

— **1—2 მაისს,** გამოცხადდა 747, მიღებულია 162. მიღებულთა რიცხვში არის ქართულ ენის მცოდნე—116, რუსულის—46.

— **სულიერი მდგომარეობა.** ახლად გაწვეულთა სულიერი მდგომარეობა არა ჩვეულებრივია, ყველანი დიდი ხალისით ცხადდებიან, რათა სამსახური გაუწიონ წითელ საქართველოს.

— **გორელების სალამი.** ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილების უფროს, გორელ ახალწვეულებისაგან მოუვიდა სალამი, სადაც ახალ წვეულები ფიცს დებენ შესწირონ თავისი სიცოცხლე საბჭოთა ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

სენაკის მაზრაში, ოზურგეთში და ზუგდიდში.

— **ჯარში ლტოლვა.** 1901 წ. დაბ. ჯარში გაწვევამ სენაკში, ოზურგეთში და ზუგდიდში ყოველ გვარ ჩვენ მოლოდინს გადააჭარბა. დიდი ენტუზიაზმი ემჩნევა მისაღებ ახალგაზრდობას.

— **პირველი ორი დღე.** პირველ ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ 893 ახალგაზრდა გასაწვევი. მიღებულია სამსახურში 343.

— **მოხალისენი.** მრავლად მოდიან მოხალისენი, მაგრამ მათ ვერ იღებულობთ, რადგან ჯარის ნაწილები შევსილია ახალ გაწვეულებით.

— **კომისია ვერ ასწრებს მიღებას.** კომისია ვერ ასწრებს მიღებას მიუხედავად 12 საათის მუშაობისა. სენაკის შემდეგ, ოზურგეთის მაზრა იპყრობს უპირველეს ყურადღებას და არა ნახულ ენტუზიაზმ ჯარში ლტოლვისაგან.

სამხედრო რევტრიბუნალის მოღვაწეობა 1923 წ. 1 აპრილამდე.

ტრიბუნალის წარმოებაში იყო 1923 წლის 1 აპრილამდე.

— **საგამომძიებლო ნაწილში.** საგამომძიებლო ნაწილში სულ შემოვიდა გასარჩევად 95 სხვადასხვა ხასიათის საქმე.

— **საერთო რიცხვი** სულ საერთოდ კი ტრიბუნალში შემოვიდა 152 საქმე.

— **რამდენი საქმეა გადაწყვეტილი.** არსებითად გადაწყვეტილია მხოლოდ 4 საქმე. დასავლეთ საქართველოში ტრიბუნალის სესიამ გაარჩია 10 საქმე.

— **ამნისტია.** ამნისტიის ძალით მოსპობილია 21 საქმე. ბოროტ-მოქმედების ნიშნების უქონლობის, ბოროტმოქმედებათა აღმოუჩენლობის და სხვა მიზეზების გამო მოსპობილია 5 საქმე.

ქრონიკა

საქ. სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოში.

— **ტყიბულის მაღაროებში.** საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, გაუქმდა ტყიბულისა და შრომის მრეწველობის ცალკე მმართველობა და უკანასკნელის საქმეები გადაეცა სამთო განყოფილებას და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების სამმართველოს

— **ჩათახის ქარხნის მუშები.** საბჭომ დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა საქ. ალმ. კომიტეტის პრეზიდიუმში, რათა ჩათახის ქარხნის გამგე ამხ. კალანდაძე, რომელმაც დიდი შრომა გასწია ხსენებულ ქარხნის ასამუშავებლად—დაჯილდოვებულ იქნეს შრომის ორდენით, აგრეთვე ქარხნის ყველა მუშებს აღმოეჩინოთ ერთდროული დახმარება ფულით.

— **ნავთის ქარხანა.** სათბობ განყოფილებასთან შეთანხმებით სამთო განყოფილებას ნება მიეცა სოფ. არხილოს—კალოსში (სიღნაღის მაზრა) ააშენოს ნავთის სამრეწველო ქარხანა.

— **საქონლის ჭირი.** საბეითლო სანიტარო განყოფილების ცნობით მარტის განმავლობაში საქონლის ჭირი გავრცელებული იყო გორის, ტფილისის, ოზურგეთის მაზრებში და სამხრეთ ოსეთის ზოგიერთ მაზრებში. ყველა აღნიშნულ მაზრებში გაგზავნილი იქნა მკურნავი რაზმი ჭირის საწინააღმდეგო წამლებით, რის საშუალებით ჭირის ფართოთ გავრცელებას ბოლო მოეღო.

— **ყვავილი.** სიღნაღის მაზრაში ცხვრების ფარებს გაუჩნდა ყვავილი რის წინააღმდეგ საბეითლო განყოფილებამ მიიღო სათანადო ზომები.

— **შრატის დამამზადებელი სადგური.** საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამამზადებელი სადგური ტაბახმელაში—ამ ჟამად აწარმოებს დიდ მუშაობას შრატის დასამზადებლად. დამზადებული შრატი თავის დროზე ეგზავნება საბეითლო პუნქტებს.

ქალაქის აღმასკომში.

— **საბინაო განყოფილების განცხადება.** ქალაქის აღმასკომის საბინაო განყოფილება აცხადებს, რომ არავითარ ახსნა-განმარტებას საბინაო საქმეების შესახებ არ აძლევს კერძო პირებს. ყოველგვარ უთანხმოების გამოსარკვევათ უნდა მიმართონ სახალხო მოსამართლეებს.

— **შუამდგომლობა.** ტფილისის პოლიტეხნიკუმის საინჟინერო ფაკულტეტის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის აღმასკ. წინაშე, რათა ხსენებულ ფაკულტ. სტუდენტების პრაქტიკულ მეცადინეობის მიზნით ნება მისცეს მუშაობის, შესაფერ თავის დაწესებულებებში, ზაფხულის განმავლობაში, გასამრჯელოს მიცემით.

— **რესტორანების დაჯარიმება.** ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილებამ ქალაქის დიდი რესტორან-კაფეებში განუსაზღვრელ ქეიფის, მეძაობის, მაგარი სასმელების გაყიდვის და ვაჭრობის წესის დარღვევისათვის **დააჯარიმა.** უმაღლესი ჯარიმით ან ორ-ორი თვით გამასწორებელ სახლში მოთავსებით შემდეგი რესტორანების პატრონები: 1) აბზალ ქელბალაი—აბანოს ქ. № 6. 2) ტრიფონ იაშვილი—სურფ-სარქისის ქ. № 1. 3) ფერიაშვილი გაბრიელი—სურფ-სარქისის ქ. № 1. 4) მირაქოფ გეურქ—მიმოსვლის ქ. № 4. 5) ბალდასაროვი ბალდან—მიმოსვლის ქ. № 21. 6) გიორგობიანი ლევანი—მიმოსვლის ქ. № 6. 7) ეგნატაშვილი ალექსანდრე—მარქსის მოედანი № 1. 8) ფოჩხიძე ლევანი—მიმოსვლის ქ. № 14 9) კობახიძე ფილიმონი—ნეკრასოვის ქ. № 7. 10) დინონბეგოვი არტემ—ნეკრასოვის ქ. № 2. 11) სვენდელიანი რომან—პლეხანოვის პრ. № 116. 12) ქელაძე ევგენი—ოლღას ქ. № 16. 13) ბილიხოძე გალაქტიონ და ჩოგოვაძე მათე—რუსთაველის პრ. № 41.

— **სრულიად დაიკეტა** მუშათა უბანში (ნაძალადევში) მდებარე შემდეგი პირთა სამიკიტნოები: 1) ქართველიშვილი დავითი—ჩერქეზიშვილის ქ. № 104. 2) ხატიევი ივანე—ანის ქ. № 1. 3) მარტიროსოვი პეტრე—ჩერქეზიშვილის ქ. № 238. 4) ტოროშელიძე ამბაკო—ჩერქეზიშვილის ქ. № 199. 5) ტერ-აზაროვ არშაკ—იურიევის ქ № 10. 6) ჯავახიშვილი გიორგი—იურიევის ქ № 7. 7) სუხიშვილი პავლე—იურიევის ქ. № 42. 8) ბახტაძე ბესარიონი—ლოტკის ქ. № 18. ხოლო შუამდგომლობა აღძრა თბილისის აღმასკომის წინაშე, რათა სრულიად დაიკეტოს კაფე „ბოჰემა“ და რესტორანი „ნად კუროი“.

ა.—კ. შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში.

— **აღრიცხვის ბარათები.** შრომის განყ. დაევალა მიიღოს ზომები, რათა სამრეწველო წარმოებების დაწესებულებებმა თავის დროზე წარმოადგინონ შრომის სტატისტ. ბიუროში სამუშაო დროის და შრომის ხელფასის აღრიცხვის ბარათები.

— **კომისიის დაარსება.** სახელმწიფო საშუალებათა, ე. ი. ტანტიუმებისა და საჩუქრების წესიერ განაწილების მიზნით განზრახულია სამმართველოს სატარიფო-საკონფლიქტო განყ. მოეწყოს კომისია სამმართველოს სახ. სამ. უმაღ. საბჭოს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, საქ. პროფ. კავ. საბჭოს და სათანადო პროფკავშირის წარმომადგენლებისაგან

— **არტელები.** არტელების რეგისტრაციის საფუძვლად მიღებულია მხოლოდ ისეთი არტელები, რომლებიც შემდგარნი არიან უმუშევრებისაგან და ამავე დროს დამტკიცებულნი შრომის ბირჟის კომიტეტისაგან.

— **შეღავათები.** გადაწყდა კომუნალური და სხ. შეღავათები გავრცელდეს როგორც დაზღვეულ უმუშევრებზე, ისე კავშირის უფლების წევრობის მქონე ყველა უმუშევრებზე.

— **სატარიფო ზოლების გაუქმება.** სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს დადგენილების პროექტი წარსულ პირველ მარტიდან სატარიფო ზოლების გაუქმების შესახებ რესპუბლიკაში.

— **სტენოგრაფების ბიურო.** სამმართველოს დადგენილებით, შრომის ბირჟის საბჭოთა მუშაკების სექციასთან ეწყობა სტენოგრაფების ბიურო.

— **წოდების შეცვლა.** მიღებული იქნა დებულების პროექტი სოც. დაზღვევის განყოფილების—სოც. დაზღვევის მმართველობათ გადაკეთების შესახებ.

— **ა.-კ. განსაკუთრ. არმიის მუშამოსამსახურეების დაზღვევა.** წინადადება მიეცა ტფ. დამზღვევ კასას დააზღვიოს ა.-კ. განსაკუთრ. არმიის დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი საერთო წესის მიხედვით.

— **სესხის მიცემა.** ფეხსაცმელების მკერავ პირველ არტელს, მისი რეორგანიზაციის გამო მიეცა სესხათ სამი თვის ვადით 200 მილიონი საქონლის მანეთის კურსის მიხედვით.

— **თეზისები საქ. პროფ. კავშირთა მესამე ყრილობისათვის.** დადგენილია შემუშავებული იქნას საქ. პროფ. კავშირთა მესამე ყრილობისათვის თეზისები ა.-კ. შრ. სახ. კომ. საქ. რწ. სამმართველოს მუშაობის პერსპექტივების შესახებ.

სხვა და სხვა.

— **მიწის ძვრა.** 13 მაისს დილის 1 ს. 57 წ. საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის ყველა მძიმე საქანელის მიერ აღნიშნულია მიწის ძვრა. კერა დაშორებულია 80-დან 100 კილომეტრამდე. მთავარი ბიძგის მიმართულება ჩრდილოეთ დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთზე. (ტალღის შეკუმშვისას). უკანასკნელ შემთხვევაში ეპიცენტრი მდებარეობს გორის იქით (შორაპნის მაზრაში). ტფილისში მიწის ძვრა გამოიხატებოდა ძალით 3—4 ბალისა იყო 2 ბიძგი; მეორე სუსტი, 5 წუთის განვლის შემდეგ. პირველ ბიძგს ახლდა სუსტი გუგუნი.

— **ამხ. ლენინის სახელობის მუშათა სახლები.** ამხ. ლენინის სახელობის მუშათა 2 სახლის აგება თითქმის დამთავრდა. დარჩენილია მხოლოდ ოთახების ნაწილი, რომლის მოწყობაც ამ დღეებში დამთავრდება

— **საზაფხულოთ პრაქტიკაზე სტუდენტების გამგზავრება.** 21 მაისს ამხ. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტები მიემგზავრებიან საზაფხულოთ პრაქტიკულ სამუშაოებზე. ზაფხულის განმავლობაში ისინი იმუშავებენ საქარის სანერგეში, ქუთაისის საცდელ მინდვრებზე და ბათომის ბოტანიკურ ბაღში

ხელოვნება

ივანე ფალიაშვილის ბენეფისი „ლოენგრინი“.

ვაგნერი თბილისის საოპერო სცენაზე თავისთავად უკვე დიდი მოვლენაა თეატრალურ წრეებში. ოპერას დიდი ხანია ამზადებენ—შედეგიც დადებითია. სჩანს საქმისადმი ცოდნისა და სიყვარულის გამოჩენა. მუსიკალური, ვოკალური და მხატვრული ნაწილები ამოცანის სიმაღლეზეა, რამდენათაც ამას ხელს უწყობდა არსებული არტისტიული და რეჟისორული ძალები. როგორც მე უკვე აღვნიშნე ჩემს ფელეტონში ვაგნერის მუსიკალურ შემოქმედების მნიშვნელობაზე, ამ გენიალურ კომპოზიტორის ოპერებში ორკესტრს აქვს დათმობილი გადამჭრელი ადგილი. ორკესტრი არა მარტო აკომპანიმენტს აძლევს მომღერლებს, ის მთელ რიგ სიმფონიურ სურათების ბრძოლას აღნიშნავს. მხოლოდ ერთ ვაგნერისათვის დამახასიათებელ მოდულიაციებით, ლეიტმოტივებით, მელოდიის კეთილშობილებით და დინამიური სურათებით; ამას გარდა კიდევ რთულ სიმღერით. ივანე ფალიაშვილს, სჩანს, დეტალურად დაუმუშავებია პარტიტურა და რელიეფურად წარმოგვიდგინა ორკესტრის სურათი მთელი ოპერის მანძილზე. თუ გინდ ოპერის ის ნაწილი ინტროდუქციით, სადაც ოთხი მელოდიაა (ხმები), რომელნიც ყველა დამოუკიდებელია და ერთ ჰარმონიაში ერთიდება,—ამ მეტად ძნელ ინტროდუქციის შესრულება მშვენიერი იყო. საერთოდ ორკესტრმა მოგვცა დიდი ბედნიერება — მთელი აუდიტორია ერთბაშად იყო დაპყრობილი პარტიტურის უძირო მელოდიურ და დინამიურ სილამაზით. უნდა აღინიშნოს ფანფარის მშვენიერი შესრულება სცენაზე და ensemble-ში და სოლო ნომრების ზედმიწევნით რიტმიულ და სწორ ინტონაციით შესრულება. დადგმის შემდეგი მხარე—ეს მხატვრული ნაწილია მარჯანიშვილის მეთაურობით და ეს უკვე ბევრს ამბობს: Mise en scène საუცხოვოდაა მოფიქრებული. შეიძლება ზოგიერთ დეტალებში არ დაეთანხმოთ, მაგრამ ეს უკვე სუბიექტიური შეხედულებაა. მე მაგალითად სრულებით არ ვეთანხმები რაღაც კლდისა თუ ტახტის დასაყრდნობ ადგილის პირდაპირ ხაზებით გამოსახვას—ეს „კუბისტების“ ხაზია—თავის დისონანსით თვალებს სჭრის, რადგან ყველა დანარჩენი სურათები მხატვრულია, თვით გერმანიის მეფე გენრიხ ჩიტიჭერიას ისტორიული მუხაც კი, თუმცა ამ მუხას მარჯანიშვილი ულტრა-მოდერნისტულ ფერებით გვიჩვენებს. ლოენგრინის გამოჩენამდე სცენის უკანა ნაწილი სიბნელითაა მოცული, თუმცა მეფე კი ამბობს, რომ „მზე მკაფიოდ ანათებსო“ და ამიტომ ჩემის აზრით ეს შეცდომაა, მაგრამ სამაგიეროდ ლოენგრინის მოსვლა სასინათლო ეფექტების თანდათანობითი გადიდებით მარჯანიშვილის მიერ მოფიქრებულია საუცხოვოდ, ასეთი იდეა შეუძლია დაიბადოს მხოლოდ დიდ მხატვარს. ამ სურათის ეფექტი დამაბრმავებელია, მაგრამ აქაც წმინდა ტეხნიკური ნაკლი. სინათლე მოდის იმ ქვეყნიურ, ნათელ საზღაპრო მონსალვატოს ციხის ქვეყნიდან, ამიტომ უცნაურია, რომ სინათლის სხივები ჩნდებიან მეფისა და მისი თანხლებულთა სახეებზე, ტანისამოსზე და იარაღზე, საჭიროა სინათლის ფანარის სხვაგვარად დადგმა. კოშკის ლანდშაფტი—მდინარე და კვიპაროსის ტყე—მშვენიერია... მეორე სურათი—აქ მშვენიერია ღამე და თანდათანობითი გათენება. მეტად ორიგინალურია მეჭიშკრენი, რომელნიც მეფის კოშკისა და ქალაქის შემაერთებელ ხიდს უშვებენ ხოლმე. ბრბო მოძრავი და ცოცხალია. სჩანს დღესასწაულისათვის მომზადება, მაგრამ რისთვისაა, რომ ტაძარში მიმავალი კიბე დაფარულია შავი მაუდით, აქ უფრო შესაფერი იქნებოდა ღია ფერის მაუდი. ეს ხომ ლოენგრინისა და ელზას ქორწილია.

შემდეგ მე ვფიქრობ, რომ ძველი ბერძნული სტილისა (სვეტები) და გერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

მანქანასთან

მანქანის გრიალს შეეთვისა სმენა ყურისა
და თვალთა მზერა ბორბლის სწრაფად ბრუნვა-ტრიალსა,
აქ იჯაჭვება ერთი ზრუნვა მრავალ-ჯურისა
და აქ ვარჩევ მეც გარედ უქმად ყოფნა—ყიალსა.

აქ მატიანე მომითხრობს ძველი ქარხნის ამბებს,
სახნის—საკვეთი ჩაქუჩმა აქ გამოკვერა,
ინტერნაციონალს აქ ვადარებ დინამო-ჰანგებს,
აქ არის ჩემი კონცერტი, ჩემი ოპერა!..

მუშა—გიგო ხეჩუაშვილი.

საურთიერთო დამხმარე კასა და მუშის ბიუჯეტი

საურთიერთო დამხმარე კასას სამართლიანად უჭირავს თვალსაჩინო ადგილი მუშათა კლასის ეკონომიურ მონაპოვართა შორის.

მაგრამ, რამდენად დიდია მიზანი და დანიშნულება დამხმარე კასისა, იმდენად დამაფიქრებელია ის წესი, რომლითაც უნდა აუნაზღაურდეს კასას მის მიერ დახმარების სახით გაღებული ხარჯი. რომ კასამ შესძლოს თავის მოვალეობის პირნათლად შესრულება, საჭიროა, გაღებული სუბსიდია დაუბრუნდეს მას. ეს უდავო ჭეშმარიტებაა, საკითხი მხოლოდ იმაშია: როგორ და რა სახით მოხდეს ეს; როგორ მოხერხდეს, რომ განსაზღვრული მუშაობის შემდეგ, მიუხედავად დაბრუნებულ სუბსიდიებისა, კასაში თავი არ მოიყაროს უმნიშვნელო, ფასდაკარგულ ქაღალდის გროვამ, და იმავე დროს ვალის გადახდა არ დააწვეს მუშის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად.

როგორც ვიცით, კასით სარგებლობა შემდეგნაირად სწარმოებს: გაიცემა სუბსიდია განსაზღვრულ ვადით **საქონლის მანეთის კურსის** მიხედვით და ვალის გადახდაც სავალდებულოა **საქონლის მანეთის კურსით**. ეს წესი უეჭველია უზრუნველყოფს კასას მოსალოდნელ დეფიციტისაგან, მაგრამ იბადება კითხვა, როგორ მოქმედობს ასეთი წესი მუშის შემოსავალზე. თუ მშრომელს ჯამაგირი საქონლის მანეთის კურსით ეძლევა, ცხადია მისთვის არავითარი საკითხი ამ შემთხვევაში არ არსებობს, ვინაიდან იწევა ზევით ან ქვევით საქონლის მანეთის კურსი მისთვის ერთი და იგივეა, რადგანაც მისი ვალი და ჯამაგირიც შეთანხმებულად მიყვება ფულის კურსის ქანაობას და ამ გვარად, დამოკიდებულება მათ შორის უცვლელი რჩება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბევრია ისეთი დაწესებულებები, რომელთა ჯამაგირები მუშა-მოსამსახურეებისათვის „არ არსებობს“ საქონლის მანეთი. ამ შემთხვევაში კასის ოპერაციებს, დროებით დახმარების აღმოჩენის შემდეგ, მძიმე შედეგები შეიძლება მოყვეს მუშა მოსამსახურეთათვის, ვინაიდან მოვალე მუშის ჯამაგირი ვერ მიყვება საქონლის მანეთის კურსს და კასის ვალი უნდა გამოერიცხოს მას საქონლის მანეთის კურსის მიხედვით. ამნაირად ვალი ჯამაგირთან შედარებით ყოველთვე მოიმატებს და ბოლოს შეიძლება მთელი ჯამაგირიც აღარ ეყოს დავალიანებულ მუშას მორიგ შეტანისთვის.

რომ ასეთი შედეგი არ მოყვეს კასის დახმარებას, და იმავე დროს თვითონაც არ დაზარალდეს, შეიძლება სხვა უფრო ელასტიური (ვიდრე საქონლის მანეთის) კოეფიციენტის გამონახვა. ამისათვის საჭიროა მხოლოდ მიღებულ იქნეს ანგარიშის საფუძვლად არა ოქრო, ან საქონლის მანეთი, არამედ ის „შეფარდება“ (დამოკიდებულება), რომელიც მყარდება სუბსიდიის მიცემის დღეს პირველი მორიგი შესატანის და დავალიანებული პირის ჯამაგირს შორის და ეს შეფარდება უცვლელი უნდა დარჩეს მანამდე, სანამ არ გათავდება ვადა, რის შემდეგ ვალი გასტუმრებულად ჩაითვლება.

მაგალითად: მუშას 20 მილიონი ჯამაგირი აქვს; მას მიეცა სუბსიდია კასიდან 10 მილიონი 5 თვის ვადით. მივიღოთ ფულის კურსის უცვლელობა, მაშინ მას თვეში 2 მილიონი გადასახადი მოდის. ეს 2 მილიონი შეადგენს ჯამაგირის 10 პროცენტს, აი ეს 10 პროცენტი ჯამაგირისა უნდა დარჩეს სავალდებულო გადასახად ნორმად 5 თვის განმავლობაში აიწევს მუშის ჯამაგირი, მაგ. 30 მილიონამდე 10 პროცენტიც 3 მილიონს შეადგენს, დაიწევს მაგ. 12 მილიონამდე გადასახადიც 1.200.000 მან. იქნება და არა იმ დღის საქონლის კურსის მიხედვით. ასეთი სისტემა, ჩემის აზრით მეტად მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ამ შემთხვევაში დაცული იქნება კასის არსებობაც და მუშის ბიუჯეტის ინტერესებიც.

მუშკორი

ცენტრ. მუშ. კლუბის კულტგანყოფილებაში.

აპრილის ბოლო რიცხვებში აღნიშნულ კულტგანყოფილების სხდომებზე გაირჩა საკითხი კულტგანყოფილების მომავალ მუშაობის შესახებ. მიღებულ იქნა შემდეგი გეგმა კლუბის მომავალ მუშაობისა:

1) მოწვეულ იქნას მთელი რიგი საზოგადო კრებებისა, კლუბის მუშაობაში წევრების უფრო აქტიურად ჩაბმის მიზნით;

2) წითელ-არმიელებმა უნდა იარონ კლუბში კლუბის ნამდვილ წევრთა უფლებებით; უფრო აქტიური კი მათ შორის მიწვეულ იქნეს კლუბის მუდმივ წევრად;

3) გაძლიერებულ იქნას ბიბლიოთეკა ახალი ბელეტრისტიკით;

4) მიცეს კლუბის წევრებს „ჭანდრაკის“ (შახმატის) თამაშის ნება.

5) დაარსებულ იქნას დრამატიული სექცია ქართულ და სომხურ ენაზე;

6) მოწყობილ იქნას კლუბის წევრების ბავშვებისთვის საბავშვო მოედანი;

7) სტიპენდიაზე მყოფი—მუშფაკელები ჩაბმულ იქნან კლუბის მუშაობაში.

8) დაინიშნოს ერთი დღე კვირაში პარტიულ და კომკავშირის კრებებისთვის.

შემდეგ საკითხად განხილულ იქნა კლუბის სასარგებლოდ 17 მარტს გამართულ საღამოს ანგარიში. კომისიის წევრის, ამხ. საროიანის საანგარიშო მოხსენებიდან გამოირკვა, რომ აღნიშნულ საღამომ წმინდა შემოსავალი დასტოვა 72.770.000 მანეთი, რომელიც მოხმარებულ იქნება კლუბის სახსრის გასაძლიერებლად. სხდომის მიერ ანგარიში დამტკიცებულ იქნა სრულად.

მუშ-კორი ხანდრო

უმაღ. სამ. საბჭოს ხე-ტყის ქარხნის № 3 მუშათა ცხოვრებიდან.

რადგან ქარხნის ადმინისტრაციამ შესძლო შეეძინა ამ უკანასკნელ ხანებში ხე-ტყის კარგი ხარისხის მასალა, ქარხნის წარმოებასაც წარმატებითი განვითარება დაეტყო. ქარხანაში მუშაობს 31 კაცი. მუშები კმაყოფილი არიან იმით, რომ საჭიროების დროზე მათ ეძლევათ ავანსად ფული. მაგრამ იგივე მუშები უკმაყოფილო არიან იმით, რომ დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულების ზოგი პირობა არაა შესრულებული ადმინისტრაციის მხრით: მუშებს არ მიუღიათ მათთვის უსაჭიროესი, სამუშაო „სპეცტანსაცმელი“. ამ მხრით მუშების დაკმაყოფილება აიხსნება 1) ხშირად ქარხნის სალაროს ფინანსიური კრიზისით, მაგრამ უფრო ხშირად კი ქარხნის ადმინისტრაციის მუშებისადმი უყურადღებობით. მუშებში წერა-კითხვის უცოდინარნი თითქმის არ არიან, გარდა ორი მოხუცებულ მუშისა. ამ მხრით დასაფასებელია ქარხნის ადმინისტრაციისა და ადგილკომის ზომები, რომ მუშებში ნამდვილად გაუტარებიათ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ეხლა კი საჭიროა ამავე მუშებისათვის ადგილობრივად ბიბლიოთეკა და კლუბი, რომლის დაარსებისა და მოწყობის საქმეში, იმედი გვაქვს, ქარხნის ადმინისტრაცია გაუწევს ადგილკომს ენერგიულ დახმარებას.

მუშკორი ჩხმელი.

ძველი ვექილების ხრიკები არ გავიდა

მიმდინარე წლის აპრილში სახალხო მოსამართლეთა საბჭოში იყო განხილული თბილისის ვაჭრების მთელი რიგი საქმეები, შრომის დაცვის კანონების დარღვევის შესახებ, რომელთაგან ზოგი მოსპობილ იქნა ამნისტიით და ზოგზე კი გამოტანილი იქნა სახალხო მოსამართლეთა ჯეროვანი განაჩენები.

სხვათა შორის გაიმართა საკასაციო საჩივრის სახით ზაქარია პოპოვის საქმე.

ვაჭარ პოპოვს აქვს ბაყლის დუქანი, რომელშიაც 1922 წ. 15 ნოემბრიდან ამუშავებდა მოზარდ ავეტისა კარაპეტიანცს 4 საათის მაგიერ 8—10 საათის განმავლობაში, თვით კარაპეტიანცი იყო მიღებული სამუშაოზე შრომის ბირჟის გარეშე, რის გამო 8 დეკემბერს 1922 წ. შრომის ინსპექტორის მიერ შეყენებული იქნა ოქმი, რომელიც გადაეცა სათანადო სახალხო სასამართლოს. საქმის გარჩევის დროს კასატორი პოპოვის მიერ მოწვეულ იქნენ დამცველთა კოლეგიის წევრები—ბარათაშვილი და ამირალოვი, ამ უკანასკნელებმა განმარტეს შრომის კანონების კოდექსი ძველებურად, რომ ვითომდა დღიურად დაქირავებული მუშისა (მიუხედავად ნამუშევარ დღეებისა) დამქირავებელი მოვალე არ არის შეასრულოს მოთხოვნილებანი, რომელნიც არიან დაკანონებულნი მუდმივი მუშებისათვის და მათი აზრით ამ შემთხვევაში არ ყოფილა მოზარდის შრომის ექსპლოატაცია, რის გამოც ითხოვეს პოპოვის გამართლება.

მოზარდი კარაპეტიანცის მხრივ იყო ს. პ. კ. ს. იურისკონსულტი ნარიმანოვი, რომელიც შეჩერდა პოპოვის განცხადებაზე იმის შესახებ, რომ მოზარდი მუშაობდა დღეში 8 საათს და განუწყვეტლივ ერთი თვე. შრომის კანონების კოდექსის მე-38 მუხ. ძალით კი ყველა ის დაქირავებულნი, რომელნიც მუშაობენ 6 დღეზე მეტს, ითვლებიან მუდმივ მუშებად. ამ შემთხვევაში კი ავეტისი კარაპეტიანციც. ამის გამო ამხ. ნარიმანოვმა მოითხოვა სახალხო მოსამართლეთა საბჭოსაგან პირველი განაჩენის დამტკიცება, მით უმეტეს, რომ თვით საქმეში არ აღმოჩნდა არავითარი საკასაციო საბუთი და სხვა მიზეზები.

სახალხო მოსამართლეთა საბჭომ, მიიღო რა ყოველივე ეს მხედველობაში, დაამტკიცა პირველი განაჩენი, რომლითაც თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის მე-136 მუხ. ძალით პოპოვმა უნდა შეიტანოს სოციალურ დაზღვევის ფონდში ჯარიმა — 500 მან. ოქროთი და დაევალა მასვე დაუყოვნებლივ მოიწვიოს სამუშაოზე დათხოვნილი მის მიერ კარაპეტიანცი და დააკმაყოფილოს იგი კუთვნილი გასამრჯელოთი.

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო.

მუშათა კრონიკა

მუშკორების კრება.

— მიმდინარე წლის 13 მაისს გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის შენობაში შესდგა ჩვენი გაზეთის თანამშრომელ მუშა-კორესპონდენტების მორიგი კრება, რომელზედაც გაირჩა ფაბრიკა-ქარხნებში მუშკორების წრეთა დაარსების და ორგანიზაციის საკითხი. აღნიშნულ წრეების სახელმძღვანელო ინსტრუქციის შესამუშავებლად გარდა ხელმძღვანელებისა მუშკორებისგან კრებამ აირჩია შემდეგი ამხ. ამხ. **ბაჟიაშვილი ხანდრო, ხეჩუაშვილი გიგო, როინიშვილი ვახო, ჩარხიშვილი გიორგი და ახალკაცი პეტრე.**

— ამავე კრებაზე საჯაროდ განხილულ და წაკითხულ იქნა წერილი **ამხ. ბაჟიაშვილის** და ლექსები—**ამხ. გ. ჩარხიშვილის, ვ. როინიშვილის, ხიდისთაველის** და სხვების.

კრება დაიხურა დღის 1 საათზე.

მანქლის არევა აქ უადგილო იყო. ორტრუდას მთელი სცენა და აგრეთვე საქორწინო პროცესია კარგათაა დადგმული, მაგრამ ელზას არავითარ შემთხვევაში არ უნდა წაუვიდეს გული ორტრუდასთან შეხვედრისას ტაძართან. ელზასთან ხომ ლოენგრინია, მისი საქმარო და რაინდი და მისი ღვთაებრივი გავლენა უფრო დიდი იყო, ვიდრე ორტრუდას მიმზიდველობა. აქ უფრო მისაღებია ელზას განცვიფრება და არა გულის წასვლა. მთელი სცენა საქორწინო ოთახში მშვენიერია, განსაკუთრებით ფანჯარა მთვარის შუქით განათებული. კარგია აგრეთვე უკანასკნელი სურათიც.

ამბობენ, რომ ვაგნერის ოპერების პარტიები მოითხოვენ ხმის უდიდეს საშუალებებსო. ეს მართალია, პარტიების შესრულება მის მუსიკალურ დრამებში ძალიან ძნელია. „ლოენგრინი“ ვაგნერის ერთი ნაადრევი ნაწარმოებთაგანია, როდესაც ის ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული მელოდიურ ფორმებისაგან და აქ სიმღერა არ მოითხოვს განსაკუთრებულ ვოკალურ ძალებს.

ელზას მშვენიერ სურათს გვაძლევს მოქ. ბოკოვა, განსაკუთრებით მისტიურ და ლირიულ ადგილებში,—ელზას პირველი გამოსვლა მეტისმეტად ლამაზია. მსახიობი ხმარობს კონტრასტებს,—მე ვფიქრობ, რომ პათეტიურ ადგილებში მსახიობი რამოდენიმეთ მკვახე ტონებს ხმარობს, ასეთივეა ვოკალური შესრულებაც. ლირიული ადგილები მშვენიერია, პათეტიურ და ემოციონალურ ადგილებში კი მსახიობი აყალბებს ხმას.

ნათელ რაინდის ლოენგრინის მშვენიერ სურათს იძლევა მოქ. სარაჯიშვილი. სურათი მისტიურ ფერებით გამართლებულია თავიდან ბოლომდე, სიმღერა განსაკუთრებით მუსიკალურია, ნიუანსები, bel-canto და უმთავრესად დამთავრებული ფრაზიროვკა. ლამაზია კოსტიუმი. არ შემიძლია დამაკმაყოფილებლად ვიცნო ორტრუდას პარტიის შესრულება მოქ. მუხტაროვას მიერ. პარტია ძნელია, საჭიროა უფრო ძლიერი მიმიკა პირველ აქტში—აქ არ არის სიმღერა, მხოლოდ თამაში ჩანს. ორტრუდა მარტო გაბოროტებული ქალი ხომ არ არის. ორტრუდა შეპყრობილია სატანიური სიამაყით, ის ბოროტი გენიაა ქმრისა და ელზასი და ყველა იმათი, ვისთანაც შეახვედრებს მას ბედის წერა. მსახიობი მშვენივრად მღერის, მისი ლითონის ტემბრის ხმა საუცხოვოდ უდგება ორტრუდას პარტიას. სცენიური შესრულება, გრიმიც და მიმიკაც მოითხოვენ დამუშავებას.

კარგია, როგორც ვოკალურის, ისე სცენიური განსახიერების მხრივ მოქ საბინინი (მეფე გენრიხი).

ფრიდრიხ ფონ-ტელრამუნდის მშვენიერ სურათს იძლევა მოქ. ინაშვილი. მისი გრიმიც, ხმაც და დიქციაც მშვენიერია.

მოამბე, მოქ ქარცივაძეს შესრულებაში, სრულიად მისაღებია. კარგია ყველა გუნდები, პირდაპირ საუცხოო სიმღერაა. კარგია კოსტიუმებიც.

ერთი სიტყვით დიდი თეატრალური დღე იყო.

მუსიკოსი.

—

რუსული აკადემიური დრამა. მოსკოვის კორშის თეატრის პრემიერ ქალის მოქ. კარელინა-რაიჩის გასტროლები.

აქამდის ნიჭიერ მსახიობ ქალის რეპერტუარი შემუშავებულია ძველი პიესებიდან, რომელნიც ვერ ჩაითვლებიან დრამატიულ ლიტერატურის დასრულებულ ნაწარმოებებათ. მაგრამ ასეთია ჩვეულება ჩამოსულ ცნობილ გასტროლიორების. ისინი პიესებს თავისთვის სდგამენ; სდგამენ ისეთ პიესებს, სადაც მათ ხელსაყრელი როლი აქვთ, ეს კი უარყოფითი მხარეა გასტროლების. მე შეძლება მქონდა ლევ ტოლსტოის ცნობილ რომანიდან გადმოკეთებული „ანნა კარენინა“-ს განსახიერება მენახა სცენაზე. როგორც ყველა დიდ ლიტერატურულ ნაწარმოებებიდან გადმოკეთებული პიესები, ეს პიესაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამოგლეჯილია რომანიდან რამოდენიმე მყვირალა სცენები, სადაც მსახიობ ქალს შეუძლია თავი გამოიჩინოს ან სცენიურ მდგომარეობით ანდა ტუალეტით,—ეს უხერხულად შეკოწიწებული და უვარგისად შეკერილი სცენები ძალიან მკრთალ წარმოდგენას გვაძლევენ ლევ ტოლსტოის უაღრესად მხატვრულ ნაწარმოებზე, როგორც კინემატოგრაფის ეკრანზე, ისე ჩნდებიან ჩვენს წინ ეს წარსულის ტიპები, რომელთაც მოჭამეს თავისი დრო და დღეს ჩვენთვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენენ; რა ფასი აქვს დღეს ასეთ პიესების დადგმას, როდესაც ცხოვრება საშინელი სისწრაფით მიდის წინ და როცა რევოლიუციამ მოახდინა ყოველგვარი ღირებულებების გადაფასება. თუ ტოლსტოის რომანს დღესაც აქვს მნიშვნელობა, ეს იმიტომ, რომ იქ მხატვრულათაა გადმოცემული სურათების მთელი რიგი, მშვენიერია მისი ლიტერატურული ენა და დიალოგი,—ყველა ეს კი სცენაზე არა სჩანს და, მიუხედავათ მსახიობთა მშვენიერ თამაშისა, გამოდის რაღაც საეჭვო ღირსების მელოდრამა. ამსრულებელთაგან მაინც საჭიროთ ვსცნობ აღვნიშნო მოქ. კარელინა-რაიჩის თამაში, რომელმაც ტანჯულ და მოსიყვარულე ქალის დასრულებული სურათი მოგვცა (ანნა კარენინა). პედანტ მოხელის და ხანჯის მშვენიერი სურათი მოგვცა. მოქ. ვისოცკიმ (ალექსი კარენინი), მისი პობედონოსცევის გრიმი (რომლიდანაც ტოლსტოიმ გადაიღო კარენინის ტიპი) მეტად შესაფერი გამოდგა. მოქ. მარგარიტოვს ცუდათ გაუგია ვრონსკის ტიპი, რომელსაც ის ახასიათებს როგორც ნევრასტენიკს და ისტერიულ პიროვნებას.

დანარჩენი როლების ამსრულებელნი დარბილებულ კრიტიკასაც კი ვერ უძლებენ.

ძველი.

—

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“.

— **გაზ. „ლომისი“ ვანო სარაჯიშვილის საპატივცემლოდ.** გამოვიდა გაზ. „ლომისი“-ს მორიგი ნომერი. გაზეთი მიძღვნილია ვანო სარაჯიშვილზე მისი იუბილეს გამო, რომელიც გაიმართება 16 მაისს სახ. ოპერის თეატრში.

— **ახალი მწერლობის ანთოლოგია.** ახალი მწერლობის კავშირმა დაადგინა გამოსცეს 300 გვერდიანი „ახალი მწერლობის ანთოლოგია“. სარედაქციო კოლეგიაში არჩეულ იქნენ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი. მთავარ რედაქტორებათ: გრ. რობაქიძე და პავლე ინგოროყვა. ტეხნიკურ ხელმძღვანელად—რაჟდენ გვეტაძე. ანთოლოგიაში მოთავსებული იქნება მასში შეტანილი მწერლების და პოეტების პორტრეტები მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით.

პროვინციაში

ზუგდიდის მაზრა

მიწის რეფორმა. ბანდიტიზმის ნაშთის ლიკვიდაცია.

თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის უკანასკნელი სესიის დადგენილებისა, ზუგდიდის მაზრაში მარტიდან დაიწყო მამულების ჩამორთმევა და ეს რეფორმა დამთავრდა აპრილის დამლევს.

ამ მხრივ ჩვენი კუთხე 1921 წ. განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებოდა. საქართველოს გასაბჭოებიდან ადგილობრივი ხელისუფლება და პარტ-ორგანიზაცია შეუდგა რევოლიუციონური გზით მიწების ჩამორთმევას და უმიწაწყლო და მცირე მიწიან გლეხებზე დარიგებას. ეს რევოლიუციონური მიწის რეფორმა დამთავრდა ჩვენში ამავე წლის აპრილის შუა რიცხვებში. ამ ნაირად მიწის რეფორმის საკითხი ისე მწვავედ არ იდგა ჩვენში, როგორც სხვა მაზრებში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამხ. გამბაროვის მეთაურობით ადგილობრივ ხელისუფლების მიერ შემუშავებული მიწის ნორმა უახლოვდებოდა ცენტრალური მთავრობის მიერ გამოცემულ დეკრეტის № 17 ნორმას ე. ი. მაშინ ზუგდიდის მაზრაში მიღებული იყო ნორმად კომლზე რვა ქცევა, ეს ნორმა კატეგორიის მიხედვით დიდდებოდა. მიუხედავათ ამისა, კიდევ დარჩენილი იყო მაზრაში ჩამოსართმევი მამულები. ახლანდელი მიწის რეფორმის ჩატარების დროს ჩამორთმეულია რამდენიმე ათასი ქცევა მიწა და გადაცემულია მცირე მიწიან გლეხებზე. მიუხედავათ ამ რეფორმისა, მაზრის მთაგორიანი ნაწილის გლეხობა მაინც გრძნობს მიწის სივიწროვეს.

პარალელურად მიწის რეფორმასთან სწარმოებდა მემამულეების სახლების და წისქვილების ჩამორთმევა. ჩამორთმეულია დაახლოვებით თორმეტი სახლი და შვიდი წისქვილი. სახლები გადაეცა სხვა და სხვა თემებს. სკოლებისა და კლუბებისათვის.

როგორც არა ერთხელ აღმინიშნავს გაზეთების ფურცლებზე, ნიკოლოზის მეფობის ხანაში და მენშევიკების ბატონობის დროს მაზრაში ცარცვა გლეჯას და ქურდ-ბაცაცობას ეპიდემიური ხასიათი ჰქონდა მიღებული.

დღეს ამ კუთხეში, მაზრის აღმასკომის და მილიციის დაუღალავი მუშაობის წყალობით, ბანდიტიზმის ნაშთი ძირიან-ბუდიანად აღმოფხვრილია, ვერც ერთ ყაჩაღს ვერ ნახავთ აქ, ზოგიერთნი დახოცეს და ზოგი-კი ციხეშია დამწყვდეული. ხანდისხან აქა იქ ადგილი აქვს ქურდობას, მაგრამ ის მეორე დღესვე აშკარავდება, დამნაშავეთ იჭერობენ და ისინი სათანადოდ ისჯებიან!

ამნაირად, ჩვენს მაზრაში დამყარებულია სრული მშვიდობიანობა. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის სამაზრო მილიციის უფროსს ამხ. ი. ჯანაშიას, რომელიც დიდი მადლობის ღირსია.

ყველა ზემო აღნიშნული დიდ აღფრთოვანებას იწვევს მშრომელ მასაში, მაღლა სწევს ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების პრესტიჟს გლეხობის თვალში. ისინი საქვეყნოდ აცხადებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილი მუშურ-გლეხური მთავრობა ყოფილაო. გლეხობას მხოლოდ აწუხებს ის გარემოება, რომ მათი ნაწარმოები ჩალის ფასად იყიდება ქალაქის ნაწარმოებთან შედარებით რომელიც სრულიად ხელმიუწვდომელია მათთვის. საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

გრიშა მეგრელი.

გეჯეთის თემი (სენაკის მაზრა)

სოფელი გეჯეთი ძევს მდინარე ტეხურსა და აბაშის შუა. მდ. აბაშას იმდენი მნიშვნელობა არ აქვს თემისათვის, რამდენიც მდ. ტეხურს, ვინაიდან როგორც სავაჭრო, ისე სახელმწიფო დაწესებულებათა ცენტრი ტეხურის გაღმა არის.

თუ გლეხს მოუნდებოდა ქალაქში წასვლა, ან მაღალ ორგანოსთან დამოკიდებულების დაჭერა, აუცილებლათ ტეხურში უნდა გასულიყო და თუ წყალი გადიდდებოდა იძულებული იყო რამოდენიმე დღე ეცადა, მის დაკლებამდე.

ამასთან ტეხურს ბევრი ადამიანის მსხვერპლიც აქვს შეწირული, ასე რომ მეტის მეტად უძნელდებოდა გლეხებს ამ გზით მიმოსვლა. აუცილებელი საჭიროებას შეადგენდა ხიდის გაკეთება. მაგრამ ნიკოლოზის მთავრობის და მენშევიკების დროს ამაზე არავის უფიქრია. ეს მოხერხდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

1923 წელს გეჯეთის თემის საბჭომ დაადგინა მდ. ტეხურზე ხიდის გაკეთება, და დახმარება სთხოვა სამაზრო აღმასკომს; უკანასკნელი თავისი მხრით დახმარებას დაგვპირდა, და კიდევაც ძალიან დაკლებულ ფასებში დაგვითმო მან ხიდის მასალები, ზოგიც უსასყიდლოდაც. ხიდის გაყვანა ამ დღეში მოთავდება. გეჯეთელი გლეხისათვის გაკეთდა საშვილიშვილო საქმე.

მ. კუპრეიშვილი.

ვიხდი ანაფორას

წერილი რედაქციის მიმართ!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი:

საჯაროთ ვაცხადებ, რომ ეკლესია და სამღვდელოება არიან ხალხის მოსატყუებლათ დაარსებული და ემსახურებიან მდიდრებს. ამისათვის სრული ჩემი შეგნებით გავიხადე ანაფორა და გავხდი თავისუფალი პატიოსანი მოქალაქე და არ მსურს მოტყუებით აღებული ფულები. მე მსურს პატიოსანი ჩემი შრომით დავამუშაო ჩემი მიწები, რომელიც მომცა მიწადმოქმედების განყოფილებამ, ვარჩინო ჩემი ოჯახი. ამასთან ერთად ვურჩევ სხვა მღვდლებსაც წაბაძონ ჩემს მოქმედებას და ასე მოიქცენ. სანამ ამას არ შეასრულებენ, მანამ ღარიბესი ხალხის ნდობას ვერ დაიმსახურებენ.

მოქ **ლავრენტი სოკრატის ძე ფერაძე.**

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგი:

ქართველ მენშევიკების დამოკიდებულება არსებულ წყობილებისადმი და ამ პარტიის ბანდათ გადაქცევა, მაიძულებს მე, როგორც რევოლიუციონერს, საყოველთაო გასაგონათ განვაცხადო, რომ ქართველი მენშევიკები და მათი 2 ნახ. ინტერნაციონალი არიან იმპერიალისტების აგენტები.

გამოვდივარ ამ მოღალატურ პარტიიდან და მოუწოდებ ყველა პატიოსან რევოლიუციონერ სოციალისტ მენშევიკებს წაბაძონ ჩემს მაგალითს და ამით სამუდამოთ დაასამარონ საქართველოს მენშევიკების გაკოტრებული პარტია.

არჩილ არაბიძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბრძანება № 81, (10 მაისი 1923 წელი).

საბაჟოების მიერ უცხოეთიდან შემოზიდული საიმპორტო საქონლის დათვალიერების და გამოშვების და აგრეთვე სატრანზიტო საიმპორტო ტვირთების გატარების წესის შესახებ.

§ 1. საბაჟოს მიერ ტვირთების დათვალიერება ხდება აუცილებლად ფაქტურების მიხედვით და როდესაც ასეთები მოიპოვება,—სპეციფიკაციებით და ეძლევა ტვირთები მიმღებთ სავაჭრო წარმომადგენლის ნებართვის ძალით.

შენიშვნა: საბაჟოებს ნება ეძლევათ განსაკუთრებულ, გამონაკლის შემთხვევაში მისცენ ტვირთები მიმღებთ, ან გაატარონ სატრანზიტო ტვირთები აგრეთვე ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სალიცენზიო ბიუროს განკარგულებითაც.

§ 2. ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ განყოფილებების ყოველგვარი განკარგულებანი ტვირთების გატარების შესახებ გაუქმებულია და მათ საბაჟოები მიმართავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტების სისწორე ეჭვს ბადებს.

§ 3. საზღვრის განაპირა საბაჟოების მიერ საიმპორტო-სატრანზიტო ტვირთების გატარება ა. წ. 15 ივნისიდან ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათთან აქვთ სავაჭრო წარმომადგენლების მიერ შემოწმებული ნებართვის ასლი, რომელსაც მარჯვენა კუთხეში ზევით აქვს შემდეგი წარწერა: „საზღვრის განაპირა საბაჟოში წარსადგენად“.

ეს ბრძანება ვრცელდება იმ ტვირთებზე, რომლებიც შემოიზიდება ევროპის საზღვრებიდან.

იმ ტვირთების დათვალიერების, გამოშვების და გატარების წესი, რომლებიც შემოზიდული იქნებიან სპარსეთის და ოსმალეთის საზღვრებიდან, შემუშავებული და გამოქვეყნებული იქნება ცალკე.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ა. ივანიანი.

საბაჟოს სამმართველოს უფროსი ვირაპი.

საქმეთა მმართველი ა. გორჩაკოვი

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

4. სამშაბათს 15 მაისს და შაბათს 19 მაისს, საღ. 5—7 ს. ს. თბილისის მაზრის საგანგებო დანიშნულების რაზმის წრე. ხელმძღვანელი ამხ. გალკინი.

5. სამშაბათს 15 მაისს, საღ. 6—8 ს.ს. მბეჭდავების წრე. ხელმძღვანელი ამხ. მედვედევი.

„განათლების მუშაკთა სახლი“.

— სამშაბათს, 15 მაისს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია ხელმეორედ ნეოფილოლოგების საორგანიზაციო კრება.

— ოთხშაბათს 16 მაისს საღამოს 5 საათზე—ჩურსინის მორიგი ლექცია

საღამოს 7 საათზე ბავშვთა ბაღების ქვესექციაში—ლევიცკის მოხსენება: „წერა-კითხვის შესასწავლის ბუნებრივი მეთოდის წესი“.

სამშაბათს, 15 მაისს, საღამოს 7 საათზე დაიწყება მთელი რიგი მოხსენებებისა, რომელთაც გააკეთებენ მოსკოვში სწავლების და აღზრდის საქმის გასაცნობად გაგზავნილი ამხანაგები.

სახლის გამგე შიუკაშვილი

განცხადებანი

თავზარდაცემულნი მშობლები: ივანე და მინადორა, ძმა მამია, ბიძები: გრიგოლ ხუხუნი და პლატონ ჯაიანი მეუღლითურთ, ბიძაშვილები გედეონ და ბესარიონ ხუხუნები და თამარა ჯაიანი, გამოუთქმელ მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ და ამხანაგ-მეგობართ, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ამ თვის 12 ს საღამოს 5 საათზე გარდაიცვალა მათი საიმედო, ძვირფასი და დაუვიწყარი ბერლინის სატყეო-საინჟინერო აკადემიის სტუდენტი

კლემენტი ხუხუნი,

რომლის გამოსვენება (ფასანაურის ქუჩიდან № 15) და დაკრძალვა მოხდება მაისის 16 ს დღით, ოთხშაბათს საღამოს 5 ს. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე. პანაშვიდი საღამოობით 7 ს. 1—1

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საფარმაციო განყოფილების ყველა წვრილათ მოვაჭრე მაღაზიებსა და აფთიაქებში მიღებულია გასაყიდათ

ნაფთალინისა და ბორჯომის
წყლის

დიდი პარტია ბაზრის ფასებზე დაკლებულ ფასებში.

(387 2—2)

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ [illegible] მუშათა ფაკულტეტების სექტორის გამგებლობაში მყოფი

ი. ფ. პალატნიკოვის

ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

(15—4) კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის და ტრანსპორტის მუშათა კავშირის დადგენილების თანახმად,

ყველა ავტომობილების მართველმა შოფერებმა ქალ. ტფილისში უნდა ჩააბარონ გამოცდები ამ საგანზე სპეციალურად დანიშნულ კომისიაში. ამის გამო ყველა შოფერები, გარდა სამხედრო შოფერებისა, ვალდებულნი არიან ორი კვირის ვადაში შეიძინონ ექიმის მოწმობა და ორი ფოტოგრაფიული სურათი და ასეთები წარმოადგინონ პირადობის მოწმობასთან ერთად ტფილისის აღმასკომში ოთახი № 4, არა უგვიანეს მიმდინარე მაისის 25 რიცხვისა.

ის პირები, რომლებიც არ ჩააბარებენ გამოცდებს ავტომობილებზე სამუშაოდ არ იქნებიან დაშვებულნი: გამოცდები პირველ რიგში მოხდება შრომის ბირჟის აღრიცხვაზე მყოფ შოფერებისა, ხოლო ყველა დანარჩენები ავტომობილებზე მომუშავენი გამოიცდებიან მეორე რიგში და მათი გამოცდის დრო გამოცხადებული იქნება ცალკე.

კომისიის თავმჯდომარე **ჩირგაძე.**

კრ. 383 3—3

რ. ს. ფ. ს. რ.
სახელმწიფო ბანკის ამიერ კავკასიის საოლქო
კანტორა
(სოლოლაკის ქ. № 5)
აწვდის სახელმწიფო ორგანოებს, კოოპერატივებს, კერძო დაწესებულებებს და ფირმებს უმაღლესი ხარისხის და საუკეთესო ასორტიმენტის
რუსეთის მანუფაქტურას
პრეისკურანტის მიხედვით
ჩერვონცების ანგარიშით.
ფასები დაკლებულია. კრ. 389 2—2

საქართველოს ტეხნიკური სააღმშენებლო ბიურო
სატსამბო
მთავარი სამმართველო: თფილისი, თავისუფლების მოედანი № 8 ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი—თფილისი, „სატსამბო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში,
ყველაფერი
ელექტროფიკაციისათვის
ელექტრონის დანადგარები, ტეხნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.
საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.
კრ. 682—0—19

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, [illegible] ქ. № 20. (601—25—1)

ქ. ტფილისის მე-6 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს თავის კამერაში მემკვიდრეებს გარდაცვალებულის მარიამ ნიკოლოზის ასული კილტავას დანაშთ ქონებაზედ ორი თვის განმავლობაში დღიდან გამოქვეყნებისა თავის უფლებების განსაცხადებლად.

671 1—1 სახალხო მოსამართლე: **სულაძე.**

დაეკარგა რეგისტრაციის ბარათი და პირადობის მოწმობა სურენ ელჩიევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 672 1—1

დაეკარგა პასპორტი აზერბაიჯანში მოცემული ასტიკ ულუბაბიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 669 2—1

დაეკარგა შრომის ბირჟის წიგნაკი № 1138 ანნა მეტრეველის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 674 1—1

დაეკარგა პირადობის მოწმობა რკინის გზის დამცველი რაზმის მეორე რაიონის უფროსი თანამშრომელის შალვა ივ. მენაბდის სახელზე, მისივე ფოტოგრაფიული სურათით და დოკუმენტებით. ჩაითვალოს გაუქმებულად. 678 1—1